

~~V 3761~~

2

3761

2

499.962.1

გ უ რ ჯ ი

ე რ მ ვ ნ ი ბ ი ს ე

თ ხ ზ უ დ ე ბ ა

ი ა კ ი ბ ბ ლ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა .

მ ე თ ა რ ე , შ ე გ ს ე ბ უ ღ დ ა , გ ა მ ა ც ე მ ა .

მ ხ ო ლ ი დ ი მ ხ ა ლ ხ ს შ ე უ ძ ლ ი ა ნ პ რ ი გ რ ე ს ი ს  
გ ზ ა ზ ე ი ა რ ი ს , რ ი მ ე ლ ი ც ა ზ რ ი ბ ს დ ა მ ე ტ ყ ვ ე -  
ლ ი ბ ს თ ა ვ ი ს ს დ ე დ ა - ე ნ ა ზ ე .

ფ ი ხ ტ ე უ ფ უ რ ი ს ი .

ფ ა ხ ი მ ა რ ი ი ა ბ ა ზ ი .

ტ ც ი ლ ი ს ი

მ ს წ რ ა ფ ლ - მ ბ ე ჭ დ ვ ი ო რ . ქ უ თ ა თ ე ლ ი ძ ი ს , ნ ი კ . ქ . № 21.

1903

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Октября 1903 года.

106

ღრմա մռնո՞ւցին աճսավսց ցոլուտ

Ց Շ Ճ Ց Ե Ա

ա թ ի յ մ և ն ա ՛ շ ր ռ մ և

պայլա վարուցուսացուն

շ մ զ ո ր դ ա ն յ է ե կ ե ռ ց ն ա ն


հ օ յ ո ւ ս ս ա յ ո ւ ս ա լ ո ւ ն ո ւ

մ լ զ ջ ե լ մ տ ա յ ր ո ւ

ը լ ո ւ ր ե ս ը լ ո ւ ր ե ս ը լ ո ւ ր ե ս

Ց Ա Ց Ւ Ո Ե Հ Ո Ս Ա Ն.

Տ պ ր ո ւ ր ա.



# ბურჯი ეროვნებისა.

1.

შესაფადი.—ტურგენიევის აზრი რუსული ენის სის-  
ტულის შესახებ.—სისრულე ქართულის ენისა.—მისი  
დაუყოსებდღია.

**ბ**აგიგონიათ მებაღე, რომელიც უზომოდ მო-  
ნატური ყოფილიყოს ხილის უხვის მოსავლისა და ხე-  
ხილებისთვის კი ძირი და ფესვები ეთხაროს, ეფუძე-  
ბინოს, ეხმოს? ზანა, არ გაგიგონიათ?..

ზადაავლეთ ახლა ყურადღებით თვალი ჩვენის  
მოზარდის თაობის აღზრდა-სწავლასა და თქვენ დარ-  
წმუნდებით, რომ ჩვენ შორის მოიპოვებიან არა ერთ-  
ნი და ორნი მშობელნი, რომელნიც ამ საარაკო, არ  
გაგონილს მებაღეს მოგაგონებენ. მართლა-და რომე-  
ლი მშობელი არა ნატრობს თავისი შვილებისათვის  
გამჭრიახს ჭკუასა, ლრმა გრძნობასა, მტკიცე ხასიათ-  
სა, ერთი სიტყვით, —კაცურს კაცობასა? ზარნა ზოგ-  
ნი, ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონვე საკუთარი ხელით  
ძირს უთხრიან თავიანთის შვილების სულის განვითა-  
რებასა, ფესვებს უხმობენ მათ გონების და გრძნობის  
დასრულებასა, აყვავებასა.

როგორ და რა გზით? იგინი ნორჩის თაობის აღ-  
ზრდა-სწავლაში ადგანან იმისთანა უკუღმართს გზასა,  
რომელიც ძლიერ დამაქვეითებელია აზროვნებისაც,

გულისაც, ხასიათისაც და რომელიც ფუქსავატობის  
დედაა, ძიძა და გამდელი.

რაში მდგომარეობს ეს უკუღმართი გზა?

ტურგენიევი ერთს თავის თხზულებაში ამბობს:  
„ხშირად, როდესაც სრული სასოწარკვეთილება მო-  
მერეოდა ხოლმე ჩემის სამშობლო ქვეყნის მომავლის  
შესახებ, ერთად-ერთს ნათელ წერტილად შავს გო-  
რიზონტზედ, ერთად-ერთს გამამხნევებელ იმედად უი-  
მედო მდგომარეობაში მომევლინებოდა ხოლმე ჩემი  
სამშობლო რუსული ენა, და ჩემს გულში ვამბობდი:  
ხალხმა, რომელმაც შეჰქმნა ამისთანა მდიდარი და  
მშვენიერი ენა, არ შეიძლება, ადრე თუ გვიან, არ  
დაახწიოს თავი ახლანდელს გაჭირვებულს მდგომარე-  
ობას, არ გავიდეს წარმატების ფართო გზაზედ და არ  
დაეწაფოს შორს მომავალში მაინც ბედნიერის ცხო-  
ვრების წყაროსა“.

პრა ნაკლების საფუძვლიანობით შეუძლიან სთქვას  
შეგნებულმა ქართველმა ესევე სიტყვები ჩვენს დედა-  
ენაზედ. მისაც კი მეტ-ნაკლებობით შესწავლილი  
აქვს, თუ რაში მდგომარეობს სისრულე ენისა, მისი  
სიმდიდრე, აზრსა და გრძნობაზედ ზედ გამოჭრილობა  
და კაფიობა, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ  
ქართული ენა ეკუთვნის მაღალ აგებულობის ენათა  
დასსა. ჩვენმა ენამ გაფურჩქნა თავისი ფორმები და  
დაამყარა თავის ორგანიულს ნაწილებს შორის სრუ-  
ლი გარმონია ძველადგანვე, მეთორმეტე საუკუნეში.  
ჰკითხეთ ლინგვისტებს, ენის-მეტყველთა—რაში მდგო-  
მარეობს ლირსება ენისა, და ისინი დაგისახელებენ:  
სიმარტივეს ბრუნვებისას, გრამატიკულის სქესების არ  
ქონვას, თანდებულთა სიტყვის ბოლოში მოქცევასა,

ხმოვანს დაბოლოებას სიტყვებისას, ხმა ასამაღლებელის დამორჩილებას განსაზღვრულს კანონზედ, მრავალ-ფეროვნებას და მოქნილებას ზმნის ფორმებისას, სიმღიდრეს სინონიმებისას, ლექსიკონისას. რომელმა განვითარებულმა ქართველმა არ იცის, რომ ყველა ეს ღირსება სრული კუთვნილებაა ქართული ენისა, რომელიც ამ ღირსებათა წყალობით ყველა ცოტაოდნად განსხვავებულს შემეცნებას, მდგომარეობას, მოქმედებას და ვითარებას განახორციელებს განსაკუთრებითი, ზედ-გამოჭრილი ფორმითა, საადვილო გამოხატულებითა!

დიალ, ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორიც არის ბუნება ძავკასიონისა, სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან ძირს დასცემერიან: ბროწეულს, ლელვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეობას, და სადაც რავდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. შართული ენა ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორიც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალ-გვარის მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმ გვარს ლრმას და დაუსრულებელს დრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის, ერთი რუსული მწერლისა არ იყოს. ჰკიოთხეთ ჩვენს იღბლიანს მეზობლებსა: რა გშურთ ქართველებისაო, და ისინი თქვენ დაგისახელებენ ჯერ გაფურჩქნილს, განვითარებულს ქართულ ენასა და

მერე გაერთებულს, შეკუმშულს ტერრიტორიასა, მიწა-წყალსა.

დიალ, ლინგვისტი, რომელიც ზედმიწევნით შეისწავლიდა ქართულს ენას, იტყოდა თითქმის იმასვე, რაც სოქვა გამოჩენილმა მსწავლულმა შსლარმა ქართულს ანბანზედ, რომელიც მან აღიარა თითქმის უუსრულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის.

მაგრამ ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელს საუნჯესა? ზვესმის ჩვენ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა? შართული ენა ამ უამაღ ჰავს მშვენიერს ფოლადის სახნისა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნძულში მიუგდია, იშვიათად ჰქმარობს და უანგს აჭმევინებს. პმიტომ, ობეკტიურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული, ქართული ენა სუბეკტიურად, ჩვენს პირში, არის ღატაკი და დღე ნაკლულს არსებას მოგავონებთ.

ძიდევ ისე სამწუხარო არ იქნებოდა ქართული ენის აბუჩად აგდება, რომ ამ მოვლენას ვხედავდეთ მხოლოდ სასწავლებლებში; მაგრამ სავაგლახო და სავალალო ის გახლავთ, რომ იქაც კი, სადაც დედა-ენა უნდა შეუცილებლად უფლობდეს და სუფევდეს, მას ეპყრობიან, აქა-იქა მაინც, სწორედ ისე, როგორც ავგული დედინაცვალი ექცევა ათვალწუნებულს თვისს გერსა. მს მომაკვდინებელი სენი ცოტ-ცოტათი ეპარება ქართულს სახლობრივს სფერასაც და ისიც რომელსა? არა მარტო გადაბირებულს მოხელეთა ოჯახობასა და ზოგიერთა გაფუქსავატებულს არისტოკრატებსა, არამედ თვით ჩვენს განათლებულს დასსაც კი გადასდებია. არა ერთს განათლებულს ქართველს სახლობას შეხვდები, სადაც მოზარდი თაობა ლაპა-

რაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზედ და ქართულისა კი ჭავანებაც არ ისმის. შფრო კიდევ სამწუხარო ის არის, რომ ამ გვარ სახლობათა რიცხვ-ში ჰქედავთ მესამოცე და მეოთხმოცე წლების ზოგიერთა პატრიოტებსაც, რომელნიც ლიტერატურა-ში ცხარ-ცხარე სიტყვებს ხარჯავდნენ მამულის შვილობაზედ და საქმე კი იმითი გაათავეს, რომ თვითონაც უღალატეს ეროვნებას და თავიანთ სახლებიდგანაც გამოაძევეს ქართული ენა. ამ ვაჟბატონებს რომ ჰყითხოთ, რად დაგებათ პირი უკულმაო, ბოდიშის მოსახლელად ზოგნი დაგისახელებენ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბედის წერამ უცხოელს ქალებს გადაგვიდაო; მაგრამ განა ეს შესაწყნარისი საბუთია? ზანა კაცმა რომ უცხო ტომის ქალი ცოლად შეირთოს, უნდა მოაშოროს შვილები დედა-ენას, სამშობლოს და გადაბირების გზაზედ დააყენოს?.. ამაზედ კიდევ უფრო უარესი ის გახლავთ, რომ ზოგჯერ დედაც ქართველია და მამაცა, არც ერთი არ არის მოკლებული არც განათლებასა, არც გრძნობასა და არც აზროვნობასა; მაგრამ სახლობაში კი ბრმა მიმდევარნი არიან უგუნურის მოდისა და მასში ამყარებენ, ეროვნული ატ-მოსფერის მაგიერ, გადამბირებელს მიმართულებასა.

ეროვნულს სკოლას შეეძლო მეტნაკლებობით შეესუსტებინა მავნებლობა ამ გვარის ოჯახის უკულმართობისა; მაგრამ სად არის ამ გვარი სკოლა? ჩვენს სკოლებში ყველაფერს აქვს აღგილი, გარდა ეროვნებისა.

ჩვენ არ გამოვეკიდებით იმ აზრის განმარტებას, რომ ის მშობელნი, რომელნიც თავისს შვილებსა ზრდიან გარეშე დედა-ენის გავლენისა, სწყვეტენ კავშირ-

სა მათსა და სამშობლოს შორის, უკარგვენ თავისს  
ქვეყანასა მამულიშვილებს, ამცირებენ იმ რაზმს ქარ-  
თველებისას, რომელნიც ემსახურებიან სამშობლოს  
წარმატებას, მის ბედნიერებასა, რომ ეს მშობელნი, ერ-  
თი სიტყვით, დამნაშავენი არიან სამშობლო ქვეყნის  
წინაშე. არ გამოვეკიდებით იმის გამო, რომ მაღალი  
მცნება კაცობრიობის საუკეთესო ნაწილისა: „გიყვარ-  
დეს ერი შენი უმეტეს თავისა შენისა“, ისეთი მაღა-  
ლი სწავლაა, რომელსაც ყველას გონება ვერ შესწვ-  
დება და რომლითაც ყველა გული ვერ იხელმძღვანე-  
ლებს. ჩვენ სხვა, ყველასათვის გასაგებ, მხრიდგან მო-  
ვუვლით საგანსა და, იმედი გვაქვს, დღესავით ცხა-  
დად დავამტკიცებთ, რომ ნამდვილის კაცურის გო-  
ნებისა, გრძნობისა და ხასიათის აღზრდა ბავშვებში,  
მათი პირადი ბედნიერება, რომელიც ყველა მშო-  
ბელსა სწყურის, შეუძლებელია მაშინ, როდესაც მათს  
აღზრდაში მეტნაკლებობით უარ-ყოფილია დედა-ენა,  
ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ერო-  
ვნებისა,—რომ ისინი, ვინც ამ გამაცხოველებელს ძა-  
ლას მხარს უქცევენ, თავისავე ხელით უთხრიან სა-  
მარესა თვისი შვილების ჯეროვანს განვითარებას, ნა-  
თელს მომავალს, მათს სანატრელს ბედსა და ჰედებიან  
ნამდვილნი დამნაშავენი მათ წინაშე...

## 2.

ღრმა ქავშირი დედა-ენისა ერის სულთან და ხორც-  
თან, მის წარსულ ცხოვრებასთან.—დედა-ენის უარ-  
უფას სწავლა-აღზრდაში მოსდევს დიდი დაქვემდებარება  
ადამიანისა უოგედ მხრივ.

**ღ**ედა-ენა გარეგნობით როდია აღამიანის არსე-  
ბასთან შეკავშირებული; იგი როდი ჰგავს ტანისა-

მოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიხოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველს ადამიანს დაბადებიდგან ჰყვება მიღრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებიდგანვე ბულბულის გალობის ნიჭი, იაღონს—იაღონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველს აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ჰქატავს სინამდვილით და სისრულით.

ამასთან დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით. ამიტომ, როდესაც რომელიმე მშობელი თავისს შვილს დედა-ენას აშორებს და უცხო ენას ასწავლის, რასა შვრება ის ამითი? იგი ხელიდგან ართმევს თავის შვილს ერთად-ერთს ძლიერს ღონისძიებას გონების სწორე გახსნისათვის სიბატარავის დროსა, მის ბუნების შესაბამს იარაღსა, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება, და ძალად აჩეჩებს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს,

რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არას დროს არ გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა.

ამ გვარი უკუღმართობა ჰქადავს უთანხმოებას. წინააღმდეგობასა ბავშვის მეტყველებისა და მის სულის და ხორცის შუა და, რომ ამ წინააღმდეგობას დამღუბველი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვზედ, ადვილი მისახვედრია. ბავშვი, დაბადებიდგანვე მოკლებული დედა-ენის გამაცხოველებელს გავლენას, ისე ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნობას და ისეთივე უხეირო ჭიკუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მემუსიკედ შეიქმნება აღამიანი, მესკრიპკედ დაბადებული და მეფორტობიანედ ძალად გაზრდილი, ანუ უფრო უკეთ: ამ გვარი ბავშვი ეგვანება საცოდავს მერცხალს, რომელსაც ძალ-დატანებით მერცხლის ჭიკუის უკრძალავენ და შოშიას სტვენას ასწავლიან. ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებითს ნიჭსა, ვერ მიეწევა, ვერ ეღირსება ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას, მეტ-ნაკლებობით გამოვა ნეკერ-ნეკერა, ქარაფშუტა პირი, უხასიათო აღამიანი და იმის ნახევარსაც ვერ გააკეთებს თავისს სიცოცხლეში, რის გაკეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუცია. ასე აშკარად სჯის ბუნება ყველას, ვინც კი მას ჰდალატობს, არღვევს მის კანონებსა და უკუღმართად იქცევა.

ის მოვლენა, რომ ზოგი აღამიანი ზედმიწევნით სწავლობს უცხო ენებსა, სრულიად არ ეწინააღმდეგება დედა-ენის ორგანიულს შეხორცებასა მისს ბუნებასთანა. შეელო აღამიანები ხშირად ფეხითა სჭრიან და

აკეთებენ თითქმის ყველა იმას, რის გაკეთებისათვისაც დმერთს ჩვენთვის ხელი მოუნიჭებია; მაგრამ ნუ თუ ამ ფაქტს შეუძლიან ვისიმე თვალში შეამციროს ხელების უბადლობა, შეუდარებლობა სხვა-და-სხვა საქმის გაკეთებისათვის! ამავე აზრის დასასურათებლად მარჯვე მაგალითს წარმოგვიღენს ამერიკის ერთი შროშანი. მს შროშანი საოცარი ოსტატობით ჰპაძეს ყველა ფრინველის გალობასა და ყველა ცხოველის ხმაურობასა, ბულბულის გალობიდგან დაწყებული ძალლის ყეფამდე. ბარნა მხოლოდ თავისი ბუნებრივი სტვენა უხდება მას, მხოლოდ ამ სტვენით ჰხატავს კაფიოდ და სრულად ნამდვილს მოძრაობას და გრძნობას სულისას, მარტო ამ თავისი სტვენით ასიამოვნებს მსმენელსა, აწონებს თავსა და თავისს არსებობის თავისებურობას და სარგებლობას ამტკიცებს.

მეტადრე ერთს ფრიად სიმპატიურს სფერაში აშკარავდება უძლურება ყველა უცხო ენისა. მს გახლავთ ნაზის გრძნობის, ალერსის სფერა. ბავშვი, მოშორებული და მოკლებული დედა-ენას, ვერას დროს ვერ მიესაყვარლება თავისს მშობელთა და ნათესავთა სრულის გრძნობის გამომხატველ სიტყვებით, ვერას დროს ვერ იპოვნის იმისთანა ღრმად გულში მოსახვედრს გამოხატულებათა, როგორნიც არიან: „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, „თავ შემოგევლე“, „წამლად დაგედე“ და მრავალი სხვანი. ამისთანავე უძლურებას ენისას იგივე ბავშვი გამოსცდის დიდობაშიაც თავისს გულის სატრფოს წინაშე, რომელსაც გულის ენის მაგივრად თავისი მხურვალე გრძნობა და სიყვარული უნდა განუცხადოს მეხანიკურად დასწავლილი, ცივი სიტყვებითა, მეხსიერე-

ბის ენითა და ამითი შეასუსტოს, შელახოს და შეურაცხველოს თავისი ძლიერი გრძნობა და თავისი წმინდა გულის ტრფიალი.

მიდევ უფრო უძლურია უცხო ენა აღზარდოს, გაფურჩქნოს და სრული ძლიერებით გამოხატოს ის მაღალი და ღრმა მოძრაობა სულისა, რომელსაც ჰქვიან სარწმუნოებრივი გრძნობა. სარწმუნოება, სასოება მთლიად და სავსებით სუფევს ადამიანის გულში, და მხოლოდ გულში. ღმერთი არის მეუფე გულის, და მხოლოდ გულისა. ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც ადამიანი მიმართავს უფალსა, სავსებით გამოიხატება მხოლოდ დედა-ენით, იმიტომ რომ მხოლოდ დედა-ენა არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ დედა-ენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულ-მხურვალედ...

დიალ, მხოლოდ დედა-ენა არის ენა სულისა და გულისა, — ყველა უცხო ენანი კი არიან ენანი მეხსიერებისა.

### 3.

მეცნიერთა და შედაგოგთა აზრი დედა-ენის მნიშვნელობაზე. — აზრი შევახერისა, უშინსკისა, გესსედისა, ქარლე ფოხტისა, პოტებნისა.

**ე**ს მარტო ჩვენი აზრი არ არის. იგი ეკუთვნის ჩინებულ და განთქმულს პედაგოგებს და მეცნიერებს, რომელნიც ისეთის ძალით, ანალიზით და მქერმეტყველობით ჰქატვენ მავნებლობას დედა-ენის უარყოფისას და მის გაცვლისას უცხო ენაზედ, რომ ჩვენი სიტყვები შეადგენენ მხოლოდ მკრთალს კოპიოს, სუსტს აჩრდილს მათის მსჯელობისას.

გამოჩენილის სწავლულის შლეიხერის აზრით, დედა-ენა არის თავისებური ყვავილი და ნაყოფი, რომელიც ამოდის და მწიფდება იმ თავისებურს აგებულობაზე ტვინისა, ხმის ორგანოებისა, ნერვებისა, ძვლებისა, ხორცისა, სხეულისა და სულისა, რომელიც მინიჭებული აქვს ბუნებიდან ყოველს აღამიანსა და ერსა და ამიტომ ისე კარგად არაფრით იცნობება ერი, როგორც ენითაო. პმიტომ მხოლოდ თავისი დედა-ენა შეუძლიან აღამიანს შეისწავლოს სავსებით და იხმაროს იგი სრული სიმარჯვით. შცხოენების შესწავლა და მოხმარება დედა-ენასავით ისევე შეუძლებელია, როგორც ოთხით, ან ხელებით, სიარული ისე, როგორც კაცი დადის ფეხებითაო. (Загран. Вѣстникъ—1876, ტომი მეათე, გვერდი 2—3).

დედა-ენა ბევრით უფრო მჭიდროდ არის შეკავშირებული აღამიანის შინაგან არსებობასთან, ვიდრე რომელიმე სხვა ენა, თუნდ კარგადაც შეთვისებული, და მისნი ფესვნი ყველაზედ ღრმად არიან გამდგარნი კაცის ბუნებაში“, ვკითხულობთ რუსულს პედაგოგურს უურნალში „Русская Школа“. „დედა-ენასთან კაცი დაკავშირებულია არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც. მს არის ენა ლოცვისა, პოეზიისა, ზნეობრივის და მოქალაქეობრივის მოვალეობისა. იგი მრავალი ძალით არის მიბმული ჩვენ სულთანა, მის ლოღიკურს ნიჭითანა, მის მუზიკალურს, მგრძნობიარე ქარებსთანა. არიან პირნი, რომელთაც აზროვნება, უიქრი შეუძლიანთ რავდენსამე ენაზედ; მაგრამ არა კვერნია, რომ ვისმე გრძნობა შეეძლოს გარეშე დედა-ენისა. მე უნდა დავიცვა და შევიმუშაო დედა-ენა, რადგანაც იგი არის უძვირფასესი საუნჯე ადა-

მიანისა და მასთან შეხორცებულია ჩემი ერის აზრი, გონების განვითარება, შემოქმედობითი ძალა“ („Русская Школа“ იანვრის წიგნი, გვერდი 25—26).

„მნა ერისა,—ამბობს უშინსკი, დიდ პედაგოგად აღიარებული თვით მოწინააღმდეგეთაგანაც კი,—არის საუკეთესო ყვავილი მისი ცხოვრებისა, ყვავილი დაუმჭენარი, რომელიც მუდამ, შეუწყვეტლივ იფურჩება. მნაში იხატება მთელი ერი და მისი სამშობლო. მნაში, ერის შემოქმედების ძალის წყალობით, იქცევა აზრად, სურათად და ხმად ცა სამშობლოსი, მისი ჰაერი, მისი ფიზიკური მოვლენანი, მისი ჰავა, მისნი მინდორ-ველნი, მთანი და ოქლენი. ტყენი და მინდორნი, ელვა-ჭექანი და ქარიშხალნი, იხატება მთელი ის ღრმა, სავსე აზრით და გრძნობით ხმა სამშობლო ბუნებისა, რომელიც ისე ხმა-მაღლა ჰლა-ლადებს კაცის სიყვარულში მის ხშირად ველურის სამშობლო ქვეყნისადმი, სამშობლო ჰანგებში, სიმ-ლერებში, სახალხო პოეტების ლექსებში. ზარნა დედა-ენის კამკამა სიღრმეში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია ერის სულიერის ცხოვრებისა; თაობანი ერთი მეორის შემ-დეგ ჰქონებიან, მაგრამ ნაყოფნი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამომავლობის საკუთრებად. დედა-ენის სალაროში სტოვებენ თაობანი ერთი მეორის შემდეგ ნაყოფსა: გულის ღრმა მოძრაობისას, ისტო-რიულის მოქმედებისას, რწმუნებისას, აზრისას, სტო-ვებენ კვალთა გამოვლილის სიხარულისას და მწუხა-რებისას. მრთი სიტყვით, მთელს ნაშთსა და ნაყოფსა თავისის სულიერის ცხოვრებისას ხალხი იცავს და ინახავს დედა-ენაში. დედა-ენა არის უცხოველესი და

უმტკიცესი კავშირი, რომელიც აერთებს წარსულთა, ცოცხალთა და მომავალთა თაობათა და ჰქლის მათ ერთს დიდს, ისტორიულ ცოცხალ ორგანიზმად. იგი არამც თუ გამომხატველია ხალხის სიცოცხლისა, იგი არის თვითონ ეს სიცოცხლე. როდესაც ჰქრება ერის ენა, ერი აღარ არსებობს. და ქვეყანაზედ არ მოიძებნება იმაზედ აუტანელი ძალ-დატანება, როდესაც ჰსურთ ერს წაართვან ეს მემკვიდრეობითი საუნჯე, შექმნილი და შეძენილი მის წინაპართა ურიცხვ თაობათა ღვაწლით“. „ამასთან დედა-ენა არის უდიდესი მოძღვარი ერისა („величайший наставник народа“). როცა რომელიმე თაობა სწავლობს დედა-ენასა, იგი იძენს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ათასთა წინანდელთა თაობათა, რომელნიც დიდი ხანია მიწად არიან ნაქცევნი. რაც კი უნახავთ და გამოუცდიათ, რაც კი უგრძვნიათ და უფიქრიათ ამ აურაცხელ წინანდელ თაობათა, გარდაეცემა ბავშვსა დედა-ენის შუამავლობით აღვილად და უშრომელად, და ბავშვი შედის ცხოვრებაში უდიდესი ძალით აღჭურვილი“.

„როდესაც ბავშვი სწავლობს დედა-ენას, მარტო გარეგანს ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს. იგი სვამს სულიერს სიცოცხლეს და ძალას დედა-ენის მშობლიურ ძუძუდგან. დედა-ენა უხსნის ბავშვს ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა ვერც ერთი ბუნების მეტყველი; იგი ასწავლის ხასიათს ადამიანებისას, რომელნიც ბავშვს გარს არტყიან, საზოგადოებისას, რომელშიაც იგი ტრიალებს, მის ისტორიას და მისწრაფებათა ისე, როგორც ვერ ასწავლიდა ველცემათი ისტორიკოსი. მას შეჰყავს ბავშვი ხალხის რწმუნებათა და პოეზიის ტაძარში ისე, როგორც ვერ შეი-

ყვანდა ვერც ერთი ესტეტიკოსი. ბოლოს, დედა-ენა შესძენს ბავშვის აზრს იმისთანა ლოგიკურს მოსაზრებათა და ფილოსოფიურს შეხედულებათა, რომელთაც მას ვერ შეაძენინებდა ვერც ერთი ფილოსოფოსი“. („პედაგოგიური ოხზულებანი“ უშინსკისა, გვ. 200—201).

ამიტომ, როდესაც დედ-მამა თავის შვილებს აშორებს დედა-ენასა და მის ნაცვლად აზებირებინებს რომელსამე უცხო ენასა, რასა შვრება იგი ამითი? შდიდეს და უბადლო მოძღვარს ხელიდგან ართმევს თავისს შვილებსა და აბარებს მათ უხეირო და უსულდებულო მასწავლებელს. სრულიად საჭირო არ არის შორს გამჭვრეტი ჭკუა, რომ ამისთანა ბავშვს კაცმა უწინასწარმეტყველოს უნუგეშო მომავალი.

„თუ ენა, რომელზედაც ჩჩვილი ბავშვი იწყებს ლაპარაკსა“, ამბობს იგივე უშინსკი, „ეწინააღმდეგება დაბადებიდგან დაყოლილს ეროვნულს აგებულებასა, ეს ენა ვერას გზით ვერ იქონიებს იმისთანა ძლიერს გავლენას ბავშვის სულიერს განვითარებაზედ, როგორსაც უთუოდ იქონიებდა დედა-ენა, ვერას დროს ვერ ჩაატანს ისე ღრმად მის სულსა და სხეულში, ვერას დროს ვერ გაიდგამს იმისთანა ღრმასა და საღს ფესვებს, რომელთაც მოსდევთ მდიდარი და უხვი გაფურჩქნა, აყვავება სულიერი ბუნებისა“ (იქვე, გვერდი 207).

ვესსელი, აგრეთვე გამოჩენილი რუსთა პედაგოგი, დედა-ენის უსწავლელობას ჰრაცხავს მეტად მავნებელ და დამამხობელ შეცდომად არამც თუ ცალკე პირისათვის, არამედ მთელი ხალხისათვის: „ხალხს რომ დედა-ენა არ ვასწავლოთ, ეს იქნება აღკრძალვა ხალხის აზრის გახსნისა, მისი სულიერი ნიჭიერების

განვითარებისა, ეს იქნება ხალხის დატოვება ბავშვურს მდგომარეობაში, და თუ ხალხს თავისი ენის მაგივრად სხვა ენის სწავლაზედ დავაყენებთ, უფრო უარესს ვიზამთ: ჩვენ დავუმახინჯებთ ბუნებითს, თავისებურს გონებრივს გახსნასა, ჩვენ დავასახიჩრებთ მთელს მის სულიერს ბუნებასა“.

ზანთქმული მეცნიერის ქარლე შოტტის აზრით, თუ ხალხი თავისს დედა-ენას სცვლის სხვა ენაზე და ამ უკანასკნელზე იღებს განათლებას, იგი ვერ აიცილებს თავიდგან გონების დაჩაგვრას, დამდაბლებას და მეტ-ნაკლებობით დაპკარგავს შემოქმედებითს ნიჭისა. მაგალითად ასახელებს ერთს დასავლეთის კუთხეს გერმანიისას, სახელდობ ელზასსა, რომელსაც შეა საუკუნოებში, როცა იგი შეადგენდა ნაწილს გერმანიისას და განათლების იარაღად ხმარობდა თავისს ნემეცურს—დედა-ენას, მსოფლიო ასპარეზზე გამოჰყავდა განთქმულნი მოღვაწენი; მაგრამ მას უკან, რაც ელზასი წაართვა საფრანგეთმა გერმანიას, შეიერთა და იქ გაამეფა თავისი ფრანგული ენა, ვეღარც ერთი მსოფლიო ნიჭის პატრონი ვეღარ აჩუქა ელზასმა კაცობრიობასაო, თუმცა საფრანგეთმა მასში დაამყარა იმისთანა თავისუფლება და წეს-წყობილება, რომელიც ბევრად სჯობდა ყოველ მხრივ წინანდელსა და ელზასელების გული სრულიად და სავსებით მონადირაო.

„მნა“, ამბობს პროფესორი პოტებნია, იგივეა, რაც თვალი. როგორც მცირეოდენი ცვლილება თვალისა და სამხედველო ნერვებისა ძალა-უნებურად სცვლის ჩაბეჭდილებათა, ისე ცოტაოდენი ცვლილება ენისა სცვლის აზრის ნაწილებს, ელემენტებსა. ზა-

ვლენა ცოტაოდენის ენის ცვლილებისა ადამიანის აზროვნობაზე მარტოოდენია და უბადლო (единствен-  
но и незамѣнно). მნა უბრალო ხმების კრება კი არ  
არის, არამედ თვით აზრია ხალხისა, თვით სულია  
მისი. სწორედ ამის გამო ისე ძნელია ენის წართმევა,  
დენაციონალიზაცია. მნის დაკარგვას, დენაციონალი-  
ზაციას შეიძლება დაემორჩილოს კერძო ადამიანი;  
მაგრამ მთელი ხალხი კი არასოდეს. და ეს იმიტომ,  
რომ ეს დენაციონალიზაცია მეტად მავნებელია ერი-  
სათვის. როცა უცხო ენა ხალხის ენის ფორმებს ფუ-  
შავს და ანგრევს, იგი ამასთან ფუშავს და ანგრევს მის  
აზრებს, მის სულსა და გულსა და ამყარებს საძაგელს  
სულიერს ნაოხრობას (мерзость запустѣнія), რაც გა-  
მოც ხალხი სწრაფად მიღის უკან-უკან... ამიტომ, რაც  
უფრო მეტს თავისებურობას დაიცავს ენა და მეტს  
უამს გასძლებს, მით უფრო მეტს კეთილდღეობას და  
დღეგრძელობას შესძლვნის თავისს შემქმნელს ერსა "...  
("Вѣстникъ Европы", 1895 წლისა, სექტემბრის წიგნი,  
სტატია: Языкъ и народность).

ჩვენ შეგვეძლო ამ გვარი ციტატებით და მაგა-  
ლითებით აგვევსო თუნდა მთელი წიგნი; მაგრამ დავ-  
ჯერდეთ მოყვანილ მსწავლულების და პედაგოგე-  
ბის მსჯელობასა და მოწმობასა, მით უმეტეს, რომ  
მათ სიტყვებში სრული ძალით და გარკვევით არის  
გამოთქმული მავნებლობა, რომელიც მიუცილებ-  
ლად მოსდევს დედა-ენის უარ-ყოფას და მის გაც-  
ლას რომელსამე უცხო ენაზედ.

4.

გონიერდავი და ზნებრდავი დაწემა უტხოეთში გადასახლეა-  
ბუღთა.—მაგალითი საქართველოს წარსულიდგან ..

**ლ**ედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ მაშინაც კი  
ადაბლებს კაცის გონიერასა და უსუსტებს ზნებრივს  
ძალასა, როდესაც იგი სტოვებს თავისს სამშობლო  
ქვეყანას, შორდება მის ბუნებას და ვარდება უცხო  
ბუნებისა და ცხოვრების გავლენის ქვეშა. ამ შემ-  
თხვევაშიაც იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვ-  
ნულ აგებულობის და მის მეტყველების შუა და ამ  
წინააღმდეგობის წყალობით ეს გადაკარგული პირი  
რამდენისამე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად თუ  
იგი გენიონსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ  
შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენი-  
ლი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქნება და თუ ბუნე-  
ბისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარს  
სიტუტუცეზედ ჩამოხტება. მს ხდება იმიტომ, რომ  
ეროვნული აგებულება ყოველს კაცს ძლიერ მტკი-  
ცედ აქვს შესისხლხორცებული და ამ აგებულე-  
ბის შეცვლა ითხოვს უცხო ბუნების და ცხოვრების  
მეტად დიდის ხნის გავლენასა. მშვენივრად აქვს ახსნი-  
ლი უშინსკის ეს სიმტკიცე ეროვნულ აგებულებისა:  
„შეხედეთ ადამიანებს, რომელნიც უცხოეთში გადა-  
სახლებულან, და თქვენ დარწმუნდებით, თუ რა გამ-  
ძლეა ეროვნული აგებულობა კაცში. თაობანი იცვლე-  
ბიან ერთი მეორის შემდეგ და მეათე თაობაც კი  
ვერ შეხორცებია უცხო ქვეყნის ხალხის ორგანიზმსა,  
დარჩენილია გარეშე, თითქო უსულო რამე შეუჩი-  
რიათო. შეიძლება ადამიანმა კიდეც დაივიწყოს სა-

ხელი თავისი სამშობლოსი, მაგრამ ეროვნული ბუნება კი ღიდან შერჩება, ვიდრე ახალ-ახალი ტალღები უცხო სისხლისა არ წაშლის მას. პსე ღრმად ჩასდგა ქვეყნის შემომქმედმა საძირკველი ეროვნებისა აღამი-ანის ბუნებაში“.

შეადარეთ ნიჭით, მხნეობით და სულიერი ძალით ჩამომავალნი ქართველთა, რომელნიც იმ საუკუნის დამდეგს გადაიხვეწნენ რუსეთში და გადაგვარდნენ, იმათ მამა-პაპათა, რომელნიც აგრეთვე გადასახლდნენ რუსეთში, მაგრამ ქართველობა მტკიცედ შეირჩინეს, და თქვენ დაინახავთ, რომ რამდენადაც ეს უკანასკნელნი იყვნენ ძლიერნი, იმდენად პირველნი არიან უძლურნი და ყოველს მნიშვნელობას მოკლებულნი. მაშინ, როდესაც ვახუშტი, იოსებ სამებელი და მათ-ნი თანაშემწენი, აღზრდილნი და დასრულებულნი ეროვნულს ნიადაგზე, რუსეთში ნაყოფიერად შრომობდნენ ქვეყნისათვის, მიუხედველად დიდის გაჭირვების, და ღრმა კვალი დასტოვეს ჩვენს ცხოვრებაში, ახლანდელი რუსეთის ქართველები, იმ გადახვეწილთა ჩამომავალნი, ყოვლად გამოუსადეგარნი არიან საქართველოსათვისაც და რუსეთისათვისაც. პირველისათვის იმიტომ, რომ იგინი დაბადებიდგანვე მოკლებულნი არიან დედა-ენის, მშობლიურის ბუნებისა და ცხოვრების გამაცხოველებელს ზედ-გავლენას, მეორესათვის იმიტომ, რომ ჩამომავლობითი აგებულობა, სისხლისა და ნერვების ოვისება აქამდის ეწინააღმდეგება მათს ახალს ენას, ახალს მდგომარეობას და ცხოვრებას. იგინი მოგაგონებენ საბრალო კახურს ვაზსა, თავისს სამშობლოდგან ჩრდილოეთს გადარგულს, რომელიც, მოკლებული თავისს შესა-

ბამს ნიადაგს, ღონიერ და გემრიელ ღვინის მაგიერ  
აძლევს პატრონს მჟავე და წყალ-წყალა სასმელსა.

5.

რამდენიმე ენის სწავლება ერთსა და იმაგვე დროსა.—  
დიდი მაგნებლადა ამისი.

**თ**უმცა უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც ვხედავთ  
ჩვენს ცხოვრებაში იმასაც, რომ ერთის უცხო ენის  
მაგივრად ჩჩვილს ბავშვებს ასწავლიან ორსა და სამს  
უცხო ენას ერთად. მს გახლავთ ორკეცი და სამკე-  
ცი უკუღმართობა, რომელსაც მოსდევს სწორედ სა-  
შინელი შედეგი ბავშვის გონებისა და ხასიათისათვის.  
იშვიათის ნიჭის ბავშვი უნდა იყოს, რომ გაუძლოს  
ამ უკიდურესს უგუნურებასა და არ გატუტუცდეს.  
ამ შემთხვევაში ენები ერთმანეთს ხელს უშლიან, ერ-  
თი ენა მეორეს არ აცლის მოიკიდოს ფესვები ბავშვის  
ბუნებაში, შეუხორცდეს იმის მეხსიერებასა და გონე-  
ბას. ბავშვის აზრი და გრძნობა მოკლებულია შეძლე-  
ბას შემოსოს რომელიმე განსაზღვრულ მეტყველე-  
ბის ტანისამოსით და ამის გამო იხუთება, უდღეურ-  
დება. ბავშვი უხეიროდ სწავლობს ღატაკს რუსულს,  
ღატაკს ფრანგულს, ღატაკს ნემეცურს და პხდება  
საზოგადოდ ღატაკის მეტყველების პატრონი. „ჩვენ  
გვინახავს ბავშვები ამ გვარად აღზრდილნი“, ამბობს  
იგივე უშინსკი. „მსენი ყოფილან ან მტკნარნი ტუ-  
ტუცნი, ან სრულიად მოკლებულნი რაიმე შემოქმე-  
დებითს ძალასა, რომელიც იპოვება ოვით სუსტ-გო-  
ნებიან ბავშვიაც კი, თუ იგი დამახინჯებული არ  
არის უკუღმართი აღზრდით. ამ დამახინჯებულის ბავ-

შვების ნახვა თვალებს აუხელდა იმ მშობლებს, რო-  
მელნიც მსგავსადვე ზრდიან შვილებსა. საბრალო ბავ-  
შვებო! რა საშინელი მკვლელობა ჩაუდენიათ თქვენ  
მშობლებს. მათ თქვენ არამც თუ მოუწყვეტნიხართ  
სამშობლოსა, პოეზიასა, ხასიათსა, სასულიერო საზ-  
რდოს, არამედ ადამიანები გადაუქცევიხართ სამასხა-  
რო თოჯვებად, თანახმად მოდის მოთხოვნილებისა“.

უგნური მშობლები კი, როდესაც თავისს ჩჩვილს  
ბავშვებს რამდენსამე ენაზედ მოტიტინეს ჰხედავენ,  
აღტაცებაში მოდიან და დიდებულის მომავლის საწინ-  
დრად სოვლიან ამას. ის კი არ იციან, რომ ამ გვარის  
აღზრდით თავისი შვილების მომავალს საფლავში  
ჰმარხავენ თავისივე ხელით.

ზოგნი დედა-ენას უარს არა ჰყოფენ, მაგრამ მას-  
თან ერთად ჩჩვილ ბავშვებს ასწავლიან ერთს რომელ-  
სამე სხვა ენას. ხშირად ხდება ისე, რომ მშობელნი  
ელაბარაკებიან ერთს ენაზედ, გამდელი და მოსამსა-  
ხურენი მეორე ენაზედ. ამ გვარის მშობლების აზ-  
რით, მათნი შვილნი ეჭვსი-შვილის წლის განმავლო-  
ბაში ისწავლიან ორს ენასა და წინ გაუსწრობენ იმ  
ვაჟებს და ქალებს, რომელთაც მარტო დედა-ენაზედ  
ელაბარაკებიან. მაგრამ რა ძლიერ სტყუვდებიან! თუმ-  
ცა ეს წესი ისეთი დამღუბველი არ არის, როგორც  
ერთად სწავლება რამდენისამე უკხო ენისა, მაგრამ  
მისი მავნებლობა კი აშკარაა. ჩაბეჭდილებანი უკხო  
ენისა ასუსტებენ და ჰშლიან დედა-ენის ჩაბეჭდილე-  
ბათა, ბავშვს ხან ერთი ენა ავიწყდება, ხან მეორე, და  
დედა-ენას ივი მეშვიდე წელიწადში ხმარობს ისე, რო-  
გორც ნამდვილი ქართველი ბავშვი მეოთხე წელში.  
მნის შეთვისების შეყენებას მიუცილებლად მოს-

დევს აზრისა და გრძნობის შეფერხება და ამიტომ ამ გვარად აღზრდილნი ბავშვნი უკან რჩებიან როგორც მეტყველებაში, ისე აზროვნებაში.

„ბავშვს ჯერ დედა ენა უნდა ასწავლო და მერე უცხო ენა, ერთი—მეორის შემდეგ. თუ ერთს დროს დააწყებინე ორივე ენის სწავლება, ბავშვს გონიერას დაუბნევ“, ამბობს პედაგოგთა მამათ-მთავარი კომენიუსი...

ზოგნი სცვლიან ბუნებრივს რიგს ენების სწავლებისას და ჯერ აკვნიდგანვე ასწავლიან რომელსამე უცხო ენასა და შემდეგ დედა-ენაზედ აწყებინებენ ლაპარაკს. რომ ეს უკუღმართი წესი მავნებელი უნდა იყოს ბავშვისათვის და გონიერის გახსნა უნდა დაუგვიანოს და შეუსუსტოს, ეს მკითხველმა უკვე კარგად იცის; მაგრამ სავალალო აქ კიდევ სხვა ვნებაა. დედა-ენა იმითია კაცისათვის ძვირფასი, რომ ღრმად იდგამს ფესვებს მის ბუნებაში, ძლიერ შველის და ეწევა აზროვნობისა და მერძნობიარობის სიღრმავესა. უცხო ენა კი, როგორც ვთქვით, ვერას დროს ვერ ჩაატანს ღრმად კაცის ბუნებაში, როგორც მისთვის შეუსაბამო ნიადაგში, და ვერას დროს ვერ გაუწევს დედა-ენის სამსახურს კაცის აზროვნობას და გრძნობას. ამ შემთხვევაში არამც თუ თითონ უცხო ენა კაცის ბუნების ზედა პირზედ სლიკინობს, დედა-ენისათვისაც უკვე შეუძლებლად ჰქილის ღრმად გაიდგას ფესვები, რაღანაც, ერთი შეურყეველი ფსიხოლოგიურის კანონის ძალით, პირველი ენის ჩაბეჭდილებანი გზაზედ ეღობებიან მეორე ენის ჩაბეჭდილებათა, არ უშვებენ ქვევით და სტოვებენ მათ ტვინის ზედა-პირზე. სხვა სიტყვით რომა ვსოდვათ, აქ უცხო

ენა მოგაგონებთ იმ ავს ძაღლსა, რომელიც თივაზედ  
იწვა, ვერც თითონა სჭამდა და არც სხვას აჭმევ-  
და. დიაღ, ძირითადს კუნტულებს ბავშვის ბუნებისას  
გადაეღობება ხოლმე ზევიდგან უცხო ენა და ვერც  
თითონ უწევს მათამდის და აღარც სამშობლო ენას  
უშვებს ძირს. ამ გვარად აღზრდილი ბავშვებისა-  
განაც პედაგოგები კეთილს არაფერს მოელიან. „ამ  
გვარად აღზრდილი კაცი“, ამბობს უშინსკი, „ვერ შე-  
იძლებს იოტის ოდენა რამე შეჰმატოს ხალხის გო-  
ნებითს სიმღიდრეს, ვერ შეიძლებს უცხოური გა-  
დააქციოს ეროვნულად; ვერას დროს ვერ შეიგნებს  
თავისს ერსა და ვერას დროს ვერც ერისაგან იქნება  
იგი შეგნებული, იქნება უსარგებლო წევრი საზოგა-  
დოებისა, იქნება საბრალო კაცი, სამშობლოს მოკ-  
ლებული, და მას ვერას უშველის, რაც უნდა ცხა-  
რე პატრიოტობის მასკა ჩამოიცვას“.

6.

განსაჭუთოებული ადგალი, რომელიც უჭირავს ქართულს  
ენას ეგრობიერ ენათა შორის.—ორჯერი მავნებლობა მა-  
ს გაცემისას რომელსამე ეგრობიულს ენაზე...

ამ გვარი მავნებელი გავლენა აქვს დედა-ენის  
გაცვლას უცხო ენაზედ მაშინაც კი, როდესაც ეს  
დედა-ენა განუვითარებელია, გაუშლელია და სდგას  
დაბალს ხარისხზედ. მით უმეტესად მავნებელი უნდა  
იყოს ზურგის შექცევა იმისთანა დედა-ენისა, როგო-  
რიც არის ქართული ენა, განვითარებული, გაშლი-  
ლი, კულტურული, მრიდარი როგორც ლექსიკო-  
ნით, ისე გრამატიკული ფორმებითა, ენა სრულის  
ორგანიზაციისა, უმაღლესის ხარისხისა.

მეორე მხრივ, ჩვენი ქართული ენა ისეთს განსაკუთრებულს მოვლენას შეადგენს ენათა შორის და ლინგვისტიკაში, ისე ნაკლებად ჰგავს სხვა ევროპიულს ენებს, რომ ზოგნი მეცნიერნი იძულებულნი არიან აღიარონ იგი განცალკევებულ თავისებურ ენად და არ მისცენ ადგილი არც ტურანულ და არც ინდო-ევროპიულ ენათა შორის.

ამის გამო ყოველი ევროპიული ენა, რომელიც კი ქართველის ბავშვის გონებაში დაიჭერს დედა-ენის ადგილს, დაბადებს დიდს წინააღმდეგობას მის მეტყველების და აგებულობის შორის და მის გონების ვარჯიშობას, მოძრაობას და განვითარებას სწორედ ისევე დაუშლის, როგორც ჩვენს სხეულს აბრკოლებს შეუსაბამო ტანისამოსი, რომელიც ზედ არ არის გამოჭრილი, ზოგან ვიწროა, ზოგან განიერი, ზოგან მოკლე და ზოგან გრძელი. ამ შემთხვევაში, ვიმეორებთ, ულრმესი მხარენი ბავშვის ბუნებისა რჩებიან უსაზრდოოდ, უმოქმედოდ, უვარჯიშოდ, ჰქენებიან და მიეცემიან ატროფიას, გაუქმებას. აქ ბავშვის ბუნებას მოსდის იგივე, რაც მოუვა ხოლმე ღრმა სიმსუქნის მექონე მიწასა, რომელსაც იმის მაგიერ, რომ გუთნით მოხნან ღრმად, ზეიდგან სჩიჩქნიან ულონო კავით; ყანის აღზრდაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ზედა პირი მიწასა, და ქვემოთა მისნი მსუქანნი ნაწილნი კი უქმადა რჩებიან, და ამიტომ მოსავალი ამ გვარად მოხნულს მიწას მოჰყავს მცირე და მდარე.

დიალ, მარტოოდენ დედა-ენას შეუძლიან გაუწიოს ბავშვის ბუნებას დალოცვილი გუთნის სამსახური, მხოლოდ მას ძალუქძს ღრმად შესძრას იგი, მოჰსნენას, შეამუშაოს და ავარჯიშოს ძირიან ფესვიანად.

ხოლო ვინც დედა-ენის მაგივრად ჰქმარობს უცხო  
ენასა, ამ სუსტ ამჩიჩქნავს კავს, იგი აუცილებლად აღ-  
ზრდის თავისს შვილებში ზედაპირობას აზრისას, ფუქ-  
სავატობას მსჯელობისას, ქარაფ შუტაობას გრძნობი-  
სას და სისუსტეს ხასიათისას. ამ გვარად აღზრდილი  
ბავშვი თავისს დღეში ვერ გამოსცდის იმ სანეტარო  
აღტაცებას, რომელშიაც მოჰყავს ბუნების კანონზე დ  
განვითარებული ყმაწვილი ხელოვნურს ხალხოსნურს  
ლექსს, ან სხვა მშობლიურს ლიტერატურულს მაღ-  
ლიანს ქმნილებას, ვერას დროს მისი ნერვები ვერ  
ეღირსება იმ საამურს ციებ-ცხელებას, გამაცხოველე-  
ბელს ურუანტელს, რომელსაც ჰბადავს ყველა დაუმა-  
ხინჯებელს ყმაწვილში მშობლიური ჰანგი, სიმღერა,  
საუკეთესო გამომხატველი ერის სიხარულის და ნაღ-  
ვლისა,—ვერას დროს ვერ იგრძნობს იმ კეთილ-შო-  
ბილს აღტაცებასა და აღმაფრენას, რომელსაც გამო-  
იწვევს ხოლმე მოქმედება რომელისამე გმირი მამუ-  
ლიშვილისა.

7.

სამეტეველი შემოქმედებათი ნიჭი.—სრუდი გაუქმება  
მასი ადამიანში დედა-ენის უარ-უფლეთ... მაგალითუბი  
რუსეთსა და ჩვენში. ბეღანსკი, ბლეშჩევი. ღრი დიდი  
შოუტი საქართველოისა.

ემითი არა თავდება სია იმ მავნე შედეგთა, რო-  
მელნიც მოსდევენ დედა-ენის უარ-უოფას. მხოლოდ  
დედა-ენა ხსნის ყოველს ადამიანში ერთს განსაკუთ-  
რებულს ნიჭისა, რომელიც მიმაღლებული აქვს მხო-  
ლოდ მეტყველს ადამიანსა. ამ ნიჭს ევროპიულს ენა-  
ზედ აქვს განსაკუთრებული ტერმინი, სახელი, ხოლო

ქართული და რუსული ენა-კი მოკლებულია ამ ტერ-  
მინსა. მს ნიჭი გახლავთ ალლო ენისა. მდგომარეობს  
იგი იმაში, რომ ბავშვიც კი სრულის გრამატიკულის  
კანონების დაცვით ჰასხავს იმისთვის სიტყვებსა და  
ფრაზებს დედა-ენაზედ, რომელნიც არავისაგან არ გა-  
უგონია, არ უსწავლია, და რომელნიც მის მშობლი-  
ურ ენის ბუნებას და ხასიათს სრულიად ეთანასწორე-  
ბიან, ეთანხმებიან, ჰასხავს თავისებურად და ავარჯი-  
შებს თავის მეტყველების შემოქმედებითს ძალას. რო-  
გორა ხდება ესა? ისე, რომ დედა-ენა გამომდინარეობს  
ბავშვის ბუნებიდგან, როგორც ხმა საკრავ იარაღიდ-  
გან, ანუ, სულ რომ მდაბიური გამოხატულება ვიხმა-  
როთ—ბავშვში ჩასახულია დაბადებიდგან დედა-ენა,  
და მის გარშემო მყოფნი თავისიანნი უფრო ბების  
როლს თამაშობენ, ვიდრე მასწავლებლისას. მაინც და  
მაინც, თუ ბავშვი ერთის მხრივ სწავლობს დედა-ენა-  
სა, ითვისებს მას გარეგან ზედ-გავლენის ქვეშ, მეო-  
რეს მხრივ შინაგანი მოთხოვნილებისა და მიღრეკი-  
ლების წყალობით ჰქმნის მას, ჰპალავს, ჰშობავს. მნის  
ალლო გახლავთ ერთად-ერთი წმინდა წყარო ენის  
გამდიდრებისა, მისის გაფურჩქვნისა, განვითარებისა,  
მრავალის თავისებურის სტილისა. მოაკელით ადამი-  
ანებს ეს ნიჭი,—და ერთის ენის სიცოცხლე შესდგება,  
შეჩერდება, გაქვავდება, და დაშრება წყარო ცოცხა-  
ლის მეტყველებისა. პრც ერთს უცხო ენას არ შეუ-  
ძლიან ავარჯიშოს ალლო ენისა; იგი არ გამომდინა-  
რეობს ბავშვის ბუნებიდგან, არამედ მთლად გარედგან  
შედის მეხსიერების შუამავლობით. იგი ბავშვის აგე-  
ბულობასთან არც ერთის ძაფით არ დაკავშირებული,  
შორს არის მის სულსა და გულზედ, მის მიღრეკილე-

ბასა და მიმართულებაზედ. ამიტომ ბავშვი უცხო ენას სწავლობს მხოლოდ მექსიკურებითა, იხსომებს ყოველს სიტყვასა და ფრაზას და მთლად მოკლებულია შეძლებას შემოქმედებითი ძალა ამუშაოს, ალღო ენისა ავარჯიშის და განავითაროს. ამითი აიხსნება ის კარგად ცნობილი მოვლენა, რომ არც ერთს მწერალს, რომელსაც კი უცხო ენაზედ უწყვია წერა, არ შეუქმნია თავისებური სტილი და მეტ-ნაკლებობით ყოფილა უფხო და ლარიბის ენის პატრონი. აქედგან ცხადად დაისკვნება, რომ მოლაპარაკე მარტო უცხო ენაზედ მეტყველი არსებაა მხოლოდ ნახევრობით და არა სავსებით.

მხლა წარმოიდგინეთ, რომ უცხო ენაზე უბნობს და დედა-ენა დავიწყებია არა კურძო პირსა, არამედ მთელს ხალხსა. რას ეგვანება იგი? პრსებათა ხროვას, რომელნიც მხოლოდ ნახევრობით არიან მეტყველნი და სრულ აღამიანებად არ ჩაითვლებიან. რა ბედი მოელის ამისთანა ნახევარა ხალხს? დაქვეითება, გაღატაკება, დაცემა, ამოფხვრა, გაქრობა.

რომ შემოქმედებითი ძალა დიდს მონაწილეობას იღებს დედა-ენის შეთვისებაში და უცხო ენის სწავლის დროს კი უქმად არის, ამას აშკარად გვამცნევს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ უგონიერესნი და უნიჭიერესნი პირნი, სუსტის მექსიკურების პატრონნი, მთელს თავისს სიცოცხლეში ერთს უცხო ენასაც ვერ შეისწავლიან ხოლმე, თუმცა ბევრსა სცდილობენ, და ამავე დროს დედა-ენის ღრმა ცოდნაში და მის მარჯვე ხმარებაში ნამდვილს ვირტუოზობას იჩენენ და სამაგალითო, კლასიკურის ენითა სწერენ და ლაპარაკობენ. ამ გვარნი პირნი ბევრნი მოიპოვებიან ყველა

ქვეყანაში, ევროპასა, რუსეთსა, ჩვენში. მაგალითად საკმარისია დავასახელოთ სახელოვანი რუსეთის კრიტიკოსი ბელინსკი. იგი სწერდა და ლაპარაკობდა ისეთი მშვენიერი, ისეთი ძლიერი და ისეთი მდიდარი რუსული ენით, რომ ბადალი არა ჰყავდა და ახლაც არა ჰყავს. ამავე დროს მან გამოიჩინა საოცარი სისუსტე უცხო ენების შესწავლაში და მთელს თავისს სიცოცხლეში, წინააღმდეგ თავისი მხურვალე წადილისა და დიდის ხნის ცდილობისა, ვერ შეითვისა ვერც ნემეცური და ვერც ფრანგული, თუმცა ამ ენებს რუსულს ენასთან ახლო ნათესაობა აქვთ. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ბელინსკის უკუღმართი მშობელნი ჰყოლოდა და ბავშვობიდგანვე რუსულის ენის მაგიერად ესწავლებინათ უცხო ენა. რა გამოვიდოდა? ბელინსკი მოაკლდებოდა მშვენიერს ცოდნას დედა-ენისას, შეეხუთებოდა აზრი და გრძნობა და უცხო ენასაც ხეირიანად ვერ შეითვისებდა,—და ამისი პირდაპირი შედევი იქნებოდა ისა, რომ იგი, სახელოვანისა და შეუდარებელის კრიტიკოსის ნაცვლად, გამოვიდოდა უხეირო მწერალი, მოკლებული ძალასა, თავისებურობასა და გავლენასა.

მეორე საგულისხმიერო მაგალითი მოჰყავს პროფესიონალის პოტენციას, სახელდობ რუსთა პოეტი პლეშჩეევი. მს პოეტი ეკუთვნოდა არისტოკრატიულს ოჯახობას, სადაც გამეფებული იყო ფრანგული ენა და რუსული ენა განდევნილი. მარტო ფრანგული ენა ესმოდა მას თავისს სახლობაში, ესმოდა ყველა თავისი ნათესავებიდგან, მახლობელ ნაცნობებიდგან და თვითონაც მხოლოდ ამ უცხო ენაზე ლაპარაკობდა პატარაობიდგანვე. მერძო წერილებსაც კი მარტო ფრან-

გულს ენაზე სწერდა მთელს თავისს სიცოცხლეში. მრთი სიტყვით, ფრანგულმა ენამ დაიჭირა მისს გონებაში, მისს სულსა და გულში ადგილი პირველის ენისა, ეროვნულის დედა-ენისა. მს უკანასკნელი მან შემდეგში შეისწავლა, როგორც მეორე ენა. და უყურეთ, რა ნაყოფი გამოიღო ამ უკულმართმა აღზრდამ. პლეშჩევი სწერდა ბევრს ფრანგული პროზით და თითქმის ისევე თავისუფლად, როგორც ბუნებრივი ფრანცუზი სწერს; მაგრამ მისი ნაწერები მოკლებული იყო თავისებურობას და ძალას, თუმცა იგი დაჯილდოებული იყო ბუნებით დიდი ნიჭით. მს კიდევ არაფერი. საქმე ის იყო, რომ ამ ბუნებრივს პოეტს სრულიად არ შეეძლო ფრანგულად დაეწერა პატარალექსიც კი, თუმცა ძალიან გულით კი უნდოდა. რად? მმიტომ რომ ფრანგული ენა იყო მისთვის მეხსიერების ენა, ლექსების წერა კი ითხოვს ენას გრძნობისას, ენას გულისას და სამეტყველო მუსიკისასა. დიალ, მეტყველებას თავისი მუსიკა აქვს, თავისი ჰარმონია, და ამ მუსიკის საიდუმლოს ენა უზიარებს მხოლოდ ლვიძლს თავისიანებს, მხოლოდ სამშობლოს ძეთა და ასულთა! სხვას არავის. ამის გამო ლექსების წერას პლეშჩევი ახერხებდა მხოლოდ რუსულს ენაზე, თუმცა ბევრად ნაკლებად იცოდა ფრანგულზე. სწერდა კარგს, მგრძნობიარე ლექსებსა და მესამე ხარისხოვანს პოეტებში დაიჭირა ადგილი. პხლა წარმოიდგინეთ, რომ პლეშჩევის სრულიად არ ესწავლა რუსული და ფრანგულის ენის ამარა დარჩენილიყო. მაშინ მისი პოეტური ნიჭი სრულიად ამაოდ ჩაივლიდა. რუსულად ვერას დასწერდა დედა-ენის უცოდინარობის გამო, და ფრანგულადაც ვერ მოახერხებდა, რად-

განაც ამ ენას კავშირი არა ჰქონდა მის ეროვნულს გულთან და გრძნობასთან. პოტებნიას აზრით, პლეშჩევი ბუნებით დიდი ნიჭის პატრონი იყო, და ეს ნიჭი მას დაუჩაგრა და შეუმცირა იმ გარემოებამ, რომ დედა-ენის ადგილი მისს სწავლა-აღზრდაში დაიჭირა უცხო ენამა და არა რუსულმა. მჭვე გარეშეაო, ამ-ბობს პოტებნია, რომ პლეშჩევი ბევრად უკეთესს ლექსებს დასწერდა და თავ პოეტთა შორის დაიჭერდა ადგილსა, თუ რომ მისს სწავლა-აღზრდაში რუ-სულს ენას სჭეროდა ადგილი დედა-ენისაო.

რუსეთიდგან დავბრუნდეთ საქართველოში და ვიკითხოთ: რა მოუვიდოდა ორს დიდს პოეტს საქართველოისას, რომ მათ ქართული ენა არ ესწავლათ და აღზრდილიყვნენ მხოლოდ რუსულს ენაზე? სრული დაქვეითება მათი დიდი პოეტური ნიჭისა და მტკნარი უფერულობა იქნებოდა ამის აუცილებელი შედეგი. ქართულად იგინი პოემებს ვერ დასწერდნენ, დედა-ენის უცოდინარობის გამო, და რუსულად ვერ მოახერხებდნენ უხეირო ლექსების დაწერასაც კი. მოთხოვთანი და სხვა მათნი ქმნილებანი, რუსულს ენაზე დაწერილნი, სავსებით მოკლებულნი იქნებოდნენ თავისებურობას ენისას და შინაარსისას, და დიდი პოეტების და დიდი მამულიშვილების მაგივრად იგინი გამოვიდოდნენ უბრალო, უფერულნი კალმოსანნი. შინააღმდეგ ამისა, თუ მათს აღზრდა-სწავლაში მეტი ადგილი სჭეროდა დედა-ენასა და ეროვნებას, მათი შემოქმედებითი ნიჭი, მათი თავისებურობა იმატებდა, უფრო მაღალს ხარისხზე ავიდოდა და ისინი ქართულს ლიტერატურას გაამდიდრებდნენ უფრო კიდევ დიდებული და თავისებური სხვა-და-სხვა ქმნილებითა.

8.

მნაშვნელობა ჩვენთვის ეგრძაპიულის ენების შესწავლისა  
საზოგადოდ და კერძოდ რუსულის ენისა.—რა წესით  
და რაგით უნდა ხდებოდეს ეს შესწავლა.

ქრა გვგონია, რომ ჩვენს მკითხველებს შორის აღ-  
მოჩნდნენ იმდენად უბირის და ჩლუნგის გონების პატ-  
რონი, რომ გადაასხვაფერონ ჩვენი სიტყვები და და-  
გვაბრალონ უცხო ენათა შესწავლის უარ-ყოფა. როდე-  
საც რუსსო ჰქადაგებდა, რომ ყოველი დედა, თუ მას  
ჰქონდა ჯანმრთელნი შვილნი აღზარდოს, თავისს წმინ-  
და მოვალეობად უნდა სთვლიდეს, საკუთარი ძუძუ  
აწოვოს მათ და მშობლიური რძით გაზარდოს, ეს,  
რასაკვირველია, იმას კი არა ჰნიშნავდა, რომ ბავ-  
შვებს დედის რძის მეტს ნურას მიაკარებთო, არამედ  
იმასა, რომ ბავშვის ბუნება ჯერ დედის რძით უნდა  
საზრდოობდეს, იზრდებოდეს და როდესაც საკმარი-  
სად შემაგრდება, მაშინ სხვა საჭმლის ძლევაც უნდა  
დაუწყონ. შოველი საღის ჭკუის აღამიანი ასე პფიქ-  
რობს დედა-ენის შესახებაც. პირველს სულიერს საზ-  
რდოს დედა-ენა უნდა აძლევდეს ბავშვსა და როდე-  
საც ეს საზრდო გაამაგრებს მის გონებასა, მაშინ დე-  
და-ენა უნდა გახდეს საძირკვლად, რომელზედაც აშენ-  
დება უცხო ენათა გონივრული შეთვისება.

მერობიულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი  
დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის და განსაკუთ-  
რებით ჩვენთვის, რომ ამ მნიშვნელობის გაზიადება  
შეუძლებელია. ძარლემ მეხუთემ, ავსტრიის და ის-  
პანიის იმპერატორმა, რომელიც დიდს კმაყოფილე-  
ბას ჰქედავდა ენების შესწავლაში, სთქვა: „როდესაც

რომელსამე ახალს ენას ვსწავლობ, მე ისე ვგრძნობ ჩემს თავს, თითქო ახალი სული მიღებოდესო“. დიდმა პოეტმა და ბრძენმა გერმანიისამ გიოტემ ამას დაუმატა: „ვინც დედა-ენას გარდა არა ენა არ იცის, მან რიგიანად არც ეს დედა-ენა იცისო“. დაწინაურებულნი ევროპიელნი, რომელთაც აქვთ თავისი საკუთარი უმდიდრესი ლიტერატურა, რომელთ დედა-ენა სავსეა მრავალის მეცნიერულის თხზულებით და ლიტერატურული ქმნილებით, და რომელთა კულტურა მიწეულია უმაღლეს ხარისხამდე, ისინიც კი საჭიროდ ჰრაცხვენ სხვა ევროპიული ენები ისწავლონ. განათლებულნი ფრანციელნი, ინგლისელები, გერმანელები სცდილობენ ერთმანეთის ენები შეითვისონ და თავისი ერის გონებითს საუნჯეს დაუმატონ გონებითი სიმდიდრე თავიანთის განათლებულის მეზობლებისა.

მით უმეტესად საჭიროა ჩვენთვის ევროპიულის ენების შესწავლა, ჩვენთვის, რომელთაც არ შეგვიძლიან დავიკვეხოთ არც მდიდარი ლიტერატურა, არც ფართო მეცნიერება და არც მაღალი კულტურა... მხოლოდ მტერს შეუძლიან ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენებსა და დარჩით მარტო დედა-ენის ამარაო. მს იქნება მეორე უკიდურესი უკუღმართობა, არა ნაკლებად მავნებელი პირველის უკუღმართობისა. მისი მიუცილებელი შედეგი იქნებოდა: სიღარიბე ქართული აზრისა, სიღატაკე ქართული მეცნიერებისა, სივიწროე გონების ჰორიზონტისა, შეჩერება პროგრესისა, წარმატებისა, დამყარება უძრავის ცხოვრებისა. ამიტომ, ყოველმა მოკეთებმ ქართველებისამ დაუინებით უნდა ურჩიოს მათ:

ისწავლეთ, რაც შეიძლება ღრმად და ზედ-მიწევნით, ევროპიული ენები და სვით ევროპიული მეცნიერება ხარბად და გაუმაძლრად... მაგრამ ამასთან არას დროს არ უნდა დაივიწყოთ, რომ ყოველი ევროპიული ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავისს მშობლიურს ენასა და მხოლოდ მასუკან შეუდგება ხოლმე უცხო ენების ცოდნის შეძენას.

რაც შეეხება კერძოდ რუსულს ენასა, ჩვენთვის, ქართველებისთვის, მას მრავალ-გვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად, სახელმწიფო ენა, სავალ-დებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხთათვის; მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპიულს განათლებას და რომელსაც მიუკილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. პმიტომ რუსული ენა უნდა მიუკილებლად მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა.

მხოლოდ, რათა ეს შეთვისება იყოს ჩვენთვის სარგო და სასარგებლო, საჭიროა იგი ემორჩილებოდეს ბუნებისა და პედაგოგის კანონს, რომელიც მოითხოვს, რომ მეორე ენა სახლობაში ისწავლებოდეს მასუკან, როცა ბავშვი კარგად გაიმართება დედა-ენაში, დაახლოვებით მეშვიდე წლიდგან, და სკოლაში არა უადრეს მეორე წლისა. თუ ჩვენ, ქართველები, ჰქუით მოვიქცევით და ამ რიგსა და კანონს არ ვუდალატებთ, რუსულის ენის შეთვისება

არამც თუ არ ავნებს ქართულს ენას, არამედ ძლიერ დაეხმარება მის წარმატებასა და აყვავებას. ამ რიგზედ დაყუნებული სწავლება ენებისა მოზარდ თაობას შემოქმედებითს ძალასაც გაუძლიერებს, ენის ალღოსაც განუვითარებს, მეხსიერებასაც განუმტკიცებს, შედარებითს ნიჭისაც უვარჯიშებს, რადგანაც ყოველ ნაბიჯზე უცხო ენას ადარებინებს დედა-ენასთან და უხსნის მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებასა, ენის ბუნებას ღრმად შეათვისებინებს და ორკეცს მეტყველობას მიანიჭებს. ამ სანატრელის შედეგისათვის ჩვენ გვმართებს მხოლოდ მტკიცედ ავასრულოთ დედა-ენის, რუსულის და სხვა ენების შესახებ ის მოძლვორება, რომელიც მაცხოვარმა გამოხატა სიტყვებით: „მიეცით დმერთისა დმერთისა და ძეისრისა ძეისარს“. ძლიერ ადვილია კაცმა წამოროშოს: ხიდს ქვეშ ქართული, ან რუსული. ამისთვის საჭიროა მხოლოდ მოძრაობა ტუტუცურის ენისა და სულელის ყელისა. მაგრამ, ვინც საქმესა სჯის გონებით და სინიდისით და ვისაც სამშობლოს სიკეთე და ბედნიერება სათამაშო ბურთად არ მიაჩნია და პეროსტრატულის საზელის მოპოვება უმთავრესთ ავის მიზნად არა აქვს დასახული, იგი ყოველთვის იტყვის: რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნობის ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყევრად მოვუბათ რუსული ენა და სხვა ენები. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, ეტლი ჩვენის ეროვნებისა ჯეროვანის სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზედ და მიაღწევს სამშვიდობო სადგურსა.

აქ ერთი გარემოება ითხოვს აღნიშვნას. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ბევრად უფრო ძნელია რომელისა-

მე ევროპიული ენის შესწავლა, ვიდრე სხვა ევროპიელებისათვის. უმთავრესი მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ჩვენი ენა ძლიერ განირჩევა ევროპიულ ენათაგან და ამ უკანასკნელს ენებს კი ახლო ნათესაობა აქვთ ერთმანეთში. ამიტომ ჩვეულებრივის ნიჭის პატრონი ქართველი ჰკუით მოიქცევა, თუ ქართულსა და რუსულს გარდა შეეჭიდება მხოლოდ ერთს რომელსამე ევროპიულს ენასა და ისწავლის მას კარგად, ზედმიწევნით, ღრმად. სამისა და ოთხის ევროპიულის ენის გამოდგომა ამისთანა პირს არ მოუხდება: ვერც ენებს შეისწავლის ხეირიანად და აზროვნობაც დაუქვეითდება, რადგანაც შინაარსით გამდიდრების მაგიერ სულ ფორმებით გამდიდრებაში იქნება გაბმული. მს ჩვენი რჩევა, რასაკვირველია, არ შეეხება განსაკუთრებულის ნიჭის პატრონებსა, რომელთაც შეუძლიათ სრულად შეითვისონ რამდენიმე ენა და თავისი გონების სიმდიდრესაც ზარალი არ მისცენ. რაც შეეხება დროს, საიდგანაც უნდა იწყებოდეს ევროპიულის ენის სწავლება, ამ დროდ უნდა ჩაითვალოს ის უამი, როდესაც ყმაწვილი რუსულ ენაზე თავისუფლად იწყებს ლაპარაკსა და გაიმართება, რაც მეთორმეტე წელიწადზე ადრე მოულოდნელია. მეტი იქნება ამას დავუმატოთ, რომ როგორც რუსულის ენისა, ისე ევროპიულის სწავლების დროს დედა-ენაში ვარჯიშობა არ უნდა შესწყდეს, რათა ბავშვმა შეითვისოს მთელი სიმდიდრე სამშობლო ენისა და შეიქმნას ნამდვილ მეტყველ არსებად სრულად და სავსებით.

9.

დედა-ქნას მნიშვნელობა ერთფნობას და განათლებას აღთარმანებასათვის.— მაგალითება სსკა-და-სსკა ხალ-ხეს ისტორიადგან. .

თუ მსოფლიო ისტორიას გადავათვალიერებთ, იქაც ვპოვებთ დამტკიცებას იმ აზრისას, რომ ზურ-გის შექცევა დედა-ენისა დიდად ვნებს ხალხ-სა, აქვეითებს და უკანა სწევს. არა ერთხელ მომხ-დარა ხალხთა ისტორიულს ცხოვრებაში, რომ მაღა-ლი წოდება რომელისამე მცირე, მეორე ხარისხის ტომისა განზედ გასდგომია თავის ენასა, უარ-უყვია იგი, აღარ უკადრნია და დედა-ენად დროებით გადა-უქცევია სახელმწიფო ენა, ენა დაწინაურებულ ხალ-ხისა. ამ მოვლენას ვხედავთ, სხვათა შორის, ავტ-რის სლავიანების და უნგრეთის ისტორიაში. იყო დრო, ამბობს ერთი რუსი მეცნიერი, როდესაც უნ-გრეთის მაგნატები და სლავიანთა პანები აღარ კადრუ-ლობდნენ დედა-ენას, ათვალწუნებული ჰქონდათ და-თავისს შვილებს აკვნიდგან ნემეცურს ენაზედ აღა-პარაკებდნენ. მერე რა გამოვიდა აქედგან? ამ ვაუ-ბატონებს ეგონათ, რომ თავიანთ შვილებს დააწინა-ურებდნენ, მაღალ გონების ხარისხზედ აიყვანდნენ. ის კი არა თუ გონების სისუსტე და სიმახინჯე მოიმ-კეს. ისტორია ამოწმებსო, განაგრძობს იგივე ავტორი, რომ ეს ხანა უნგრელებისა და სლავიანებისა მათ წარსულში იყო სრულიად უნაყოფო; თითქმის ვერც ერთს გამოჩენილის ნიჭის პატრონს ვერ მოსძებნი-დით მათ შორის და იმდენად სუსტნი სჩანდნენ გო-

ნების ძალით და მხნეობით, რომ მათი მომავალი აღარავის სწამდა და მათს განქარწყლებას მოელოდნენ. მაგრამ როდესაც ერთნიც და მეორენიც მიხვდნენ თავისს დაცემის მიზეზსა, მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება დედა-ენას, მშობლიურს ლიტერატურას და ისტორიას, ეროვნულს მილებში დააწყებინეს დენა ევროპიულს განათლებას, მაშინ გაცოცხლდნენ, მოლონიერდნენ, არა ერთი მაღალ-ნიჭიერი პირი გამოიყვანეს საზოგადო ასსპარეზზედ, წინ წასწიეს თავისი ცხოვრება და ამ ჟამად სავსენი არიან ბრწყინვალე მომავალის იმედით. რუსეთშიაც ვხედავთ მსგავს-სავე მოვლენას. უნიჭო სუმაროკოვების, ხერასკოვების, ტრედიაკოვსკების მაგიერ გამოვიდნენ სალიტერატურო ასპარეზზედ ზრიბოედოვი, ზოგოლი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბელინსკი მას შემდეგ, როდესაც მაღალს წოდებაში ფრანგულის თაყვანის-ცემა შემცირდა და ჯეროვანი პატივი მიენიჭა რუსულს ენას და ლიტერატურას როგორც ოჯახობაში, ისე სკოლაში.

პრა ნაკლებ საგულისხმიერო მაგალითს წარმოგვიდენს ერთი კუთხე ინგლისის სახელმწიფოსი, სახელდობრ შელსი. შელსს უჭირავს დასავლეთის კუთხე ინგლისის კუნძულისა და იპყრობს დაახლოვებით იმდენსავე მცხოვრებელს, რამდენსაც საქართველო. შელსელები ჩამომავლობით ძლიერ განირჩევიან ინგლისელებისაგან და ლაპარაკობენ სრულიად სხვა ენაზედ. წინად მათ ზურგი შექცეული ჰქონდათ დედა-ენისაკენ, არ ზრუნავდნენ თავისს მშობლიურს ლიტერატურაზედ, მოკლებულნი იყვნენ ეროვნულს სკოლებსა და მხოლოდ ინგლისური სკოლები არსე-

ბობდა მათ შორის, და რა შედეგი მოჰყვა ამ გზა-დაბ-ნეულობას? ის შედეგიო, ამბობს იგივე ავტორი, რომ უელსელნი არამც თუ თითონ იყვნენ უვიცნი, ბრი-ყვნი და ღატაკნი, არამედ თითონ ინგლისის წარმა-ტებასაც ხელს უშლიდნენ, რადგანაც პარლამენტში ჰეზავნიდნენ ძველის წესების დამცველებსა, აბსკურან-ტებსა, რეტროგრადებსა. მაშინ ინგლისში უელსე-ლები ისე მასხარად ჰყავდათ აგდებული, როგორც ჩვენში მოხისელები და რუსეთში პაშიხონელები... მაგრამ იცვალა დრო. უელსელებმა შეიგნეს თავისი დამლუბველი შეცდომა, მიაქციეს ყურადღება დედა-ენასა, დამართეს ეროვნული სკოლები, მიჰყვეს ხელი სამშობლო ლიტერატურის აღორძინებას, შეადგინეს მრავალი სახელმძღვანელო და სახალხო წიგნები, და-არსეს უურნალ-გაზეთები დედა-ენაზედ და ისეთს წარ-მატებაში შევიდნენ, რომ არამც თუ თავისი საქმე გაიჩადეს, არამედ თითონ ინგლისზედაც, იმავე რუ-სის მეცნიერის სიტყვით; სასარგებლო ზედგავლენა მოიპოვეს. აქ ფრიად შესანიშნავია ერთი ფაქტი, სახელდობრ ისა, რომ ინგლისელები, რომელნიც წი-ნად უარჲყოფდნენ უელსელების დედა-ენასა და ერო-ვნობას, ცხადად მიხვდნენ, რომ ეს უარყოფა ორივე მხარესათვის მავნებელია და ამიტომ გულწრფელი მო-ნაწილეობის მიღება იწყეს უელსელის ენის და ლი-ტერატურის შემუშავებაში, აღორძინებაში, ასე რომ ამ ჟამად სახელმძღვანელონი და სახალხო წიგნები, დაბეჭდილნი უელსელს ენაზედ, ნახევრობით დაწე-რილნი არიან თვით ინგლისელებისაგანაო, ვკითხუ-ლობთ იმავე ავტორის თხზულებაში.

ბრწყინვალედ ამართლებს ამავე აზრს შოტლან-

დიის და ბრეტონის მაგალითი. მს ქვეყნები დასახლებულნი არიან ერთი და იმავე თესლის ხალხებითა, კელტთა ჩამომავლობითა. მხოლოდ ბრეტონი სძევს დასავლეთს საფრანგეთში, შოტლანდიას კი უჭირავს ჩრდილო ნაწილი ინგლისის სახელმწიფოსი. უკანასკნელი ქვეყანა მეჩვიდმეტე საუკუნეში მეტად უიმედო მდგომარეობაში იყო. უკიდურესი სიღატაკე, უვიცობა, სიმხეცე, სიზარმაცე, ცარცვა-გლეჯა და სრული სიველურე მთელს ხალხს მოდებული ჰქონდა. უკველა მეზობელი ხალხი ზიზღით უყურებდა შოტლანდიელებსა. მათი გამობრუნება, აღამიანად ქცევა აღარავისა სწამდა. შინაურნი და გარეულნი უქადანენ გახრწნას, გადაშენებას, გაქრობას. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგში შოტლანდიის პარლამენტმა იხმარა ერთი ღონისძიება, რომელიც უბარი აღმოჩნდა. მან გამოსცა ბრძანება, რათა ყოველს სოფელში გახსნილიყო სკოლა და სწავლა-აღზრდა მოწყობილიყო შოტლანდურს ენაზე. ბრძანება ესე აღსრულებულ იქმნა სავსებით. და რა მოხდა? მროვნულმა სახალხო სკოლამ მოკლე ხნის განმავლობაში სწორედ სასწაული ჰქმნა. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შოტლანდიის ერი ავიდა იმდენადვე მაღლა თავისს მეზობელს ხალხებზე ჭკუა-გონებით, ზნეობით და დოვლათით, რამდენადაც იგი წინად უკან იყო ჩამორჩენილი. უკველი მეზობელი ხალხი, წინანდელი ზიზღის მაგივრად, ახლა შოტლანდიებს შესცემეროდა პატივისცემით და შურით. და დღესაც შოტლანდია წარმოადგენს ერთს უბედნიერესს კუთხეს მთელის ევროპისასა... ასე გვამცნევს სახელოვანი ინგლისის ისტორიკოსი და მეცნიერი მაკო-

ლეი, რომლის აზრი ამ საგნის შესახებ მკითხველს შეუძლიან გაიცნოს ვრცლად ჩვენი რუსული წიგნიდან: „Какъ улучшить кавказскую народную школу“ (გვერდი 3—6).

სრულიად სხვა სურათს ვხედავთ ბრეტონში. ბრეტონელები ნიჭით შოტლანდიელებს, როგორც მონათესავე ხალხს, არც წინად დაუვარდებოდნენ და არც ახლა დაუვარდებიან. მაგრამ კეთილ-დღეობით კი გაუზომელად უკან სდგანან. ბრეტონი წარმოადგენდა და წარმოადგენს ერთ ლარიბს, უვიცს და ცრუ-მორწმუნეობაში ჩაფლულს კუთხეს საფრანგეთისასა. იმდენს რეტროგრადს, იმდენს რეაქციონერს დეპუტატს საფრანგეთის პარლამენტში არც ერთი კუთხე არა ჰგავნის, რამდენსაც ბრეტონი. და ეს უკან ჩამორჩენა ბრეტონს წილად ერგო მხოლოდ იმის გამო, რომ იქ ხალხის განათლება მოწყობილი იყო არა ბრეტანულს ენაზე, არამედ ფრანგულზე. სწორედ ამ მიზეზს აბრალებენ ბრეტონის დაქვეითებას და უკან ჩამორჩენას როგორც თვითონ განათლებული ბრეტონელნი (მაგალითად ბოლი), ისე სხვებიც და თვით რუსის პუბლიცისტნი, მაგ. „Вестник Европы“-სა.

ერთი სიტყვით, ხალხთა განათლების ისტორია სავსებით ამართლებს ყოფილი კავკასიის მზრუნველის ნევეროვის აზრსა: „Нѣтъ оброзованія безъ возможно—полнаго знанія своего родного языка, какъ орудія мысли, иа ზიხტე უფროსის შემდეგს მსჯელობასა: „მხოლოდ იმ ხალხს შეუძლიან პროგრესის გზაზე იაროს, რომელიც აზროვნობს და მეტყველობს თავისს დედა-ენაზე“.

ამას ისიც გვინდა დავუმატოთ, რომ მვრო-

პაში წინად შეუნიშნავთ ერთი ფრიად სავალალო შედეგი დედა-ენის უარ-ყოფისა. მგი იმაში მდგომა-რეობს, რომ ახალი თაობა, აღზრდილი თავისი ენის, ქვეყნის და ისტორიის უვიცობაში და აბუჩად აგდე-ბაში, გულს იცრუებს დედ-მამასა და ნათესავებზედ და ხშირად შვილებრივის სიყვარულის მაგიერ სი-ძულვილს უჩვენებს მათ და ამ სახით ირლვევა ოჯა-ხობა, სახლობა, ეს ქვა-კუთხედი ყოველის ერის სიმ-ტკიცისა და წარმატებისა. ამ შემთხვევაში დედ-მამა თავისის უკუღმართობის გამო ისევე საშინლად ის-ჯება, როგორც დაისაჯა შჩედრინის ერთი გმირი, რომელმაც შვილის ბედნიერებისათვის ყოველი სა-ძაგლობა ჩაიდინა და ბოლოს შვილის სიყვარულის მაგიერ მისი ზიზღი და სიძულვილი მოიმკო

10.

მაგალითები საქართველოს წარსულიდგან და აშშდგო-  
მადგან.

**ქ**ართველთა ტომთა ცხოვრებაში კიდევ უფ-  
რო თვალის ამხელს მაგალითებსა ვხედავთ. თუ რა  
კარგი შედეგი მოსდევს მას, როდესაც ქართული  
სკოლა წინ უძღვის რუსულს სკოლას ქართველის გა-  
ნათლებაში, ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოგვიდ-  
გენს გმირი ნაპოლეონის დროისა სახელოვანი სარდა-  
ლი ბაგრატიონი. ამ სახელ-განთქმულმა ქართველმა  
ჯერ ქართული სკოლა საერო და სამხედრო გაათავა  
და შემდეგ ვაჟკაცობის დროს რუსეთში წავიდა. რუ-  
სული ენა მთელს თავისს სიცოცხლეში იმდენად ნაკ-  
ლებად იცოდა, რომ მისი რუსული ლაპარაკი უფრო

მტვრევა იყო. ზარნა ვისაც შლოსერი და სხვა ის-  
ტორიკოსები ყურადღებით უკითხნია, ეცოდინება,  
რა მაღლა აყენებენ ამ სამხედრო ქართველს გმირ-  
სა. იგინი უპირატესობას აძლევენ მას ნაპოლეონის  
უნიჭიერესი მარშლების წინაშე და აღიარებენ, რომ  
თვით ნაპოლეონსაც საქმეს უჭირებდა ბრძოლის ველ-  
ზედ და მარჯვედ ეწინააღმდევებოდათ. მს მაგალითი  
გვიმტკიცებს, რომ ქართული სკოლა, დამთავრებუ-  
ლი რუსულის სკოლით, ზრდის ერთის მხრით ძლი-  
ერს სიყვარულს სამშობლოსას, მეორე მხრივ ერთ-  
გულებას რუსეთისას.

აქ შეიძლება მკითხველს გაახსენდეს გამოჩენი-  
ლი პროფესორი თარხნიშვილი და ჩასოვალოს იგი  
წინააღმდეგ მაგალითად. მაგრამ ეს დიდი შეცდომა  
იქნება. პროფ. თარხნიშვილი ჩვიდმეტ წლამდინ არა  
სასწავლებელში არ შესულა, იზრდებოდა თავისს სა-  
ხლობაში და მეტი ნაკლებობით ეროვნულის ცხოვ-  
რების გავლენის ქვეშ იყო. მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა  
გაემგზავრა იგი პეტებურგს, სადაც იგი მოკლე ხნის  
განმავლობაში საუნივერსიტეტო ეგზამენისთვის მოამ-  
ზადა ბესარიონ ლოლობერიძემ. შოველ შემთხვევაში  
აქ წინააღმდეგობას ჩვენის აზრისას დაინახავს მხო-  
ლოდ აჩქარებული გონება, რომელიც სჯის საგანს  
ზედაპირის ჩაბეჭდილების მიხედვით და არა სინჯავს  
საქმეს საარსო მხრით. მეცნიერი და პედაგოგი იტ-  
ყვის: უეჭველია, თარხნიშვილს ბუნებისაგან ჰქონდა  
მინიჭებული მეტად ძლიერი გონება და ეს გონება რომ  
აღზრდილიყო დასაწყისში დედა-ენის, მშობლიურის  
ლიტერატურის და ისტორიის გამაცხოველებელ გავ-

ლენის ქვეშ, უფრო კიდევ მომეტებულს ძალას, მო-  
მეტებულს შემოქმედებითს ნიჭს გამოიჩენდაო.

უფრო კიდევ ხმა-მაღლა ღალადებს ამ შემთხვე-  
ვაში შედარება აქარლებისა და შავშელ-ერუშელები-  
სა. უკანასკნელნი ძველ საუკუნოებში განთქმულნი  
იყვნენ თავისი მამაცობით, გამბედაობით, ვაჟკაცო-  
ბით და შეადგენენ წინა ბურჯს საქართველოსას. მაგ-  
რამ შემდეგში მათ ძალა-უნებურად უღალატეს ეროვ-  
ნებას და დედა-ენას, გასცვალეს იგი ოსმალურს ენა-  
ზედ და ჩვეულებაზედ, და რა შედეგი მოიმკეს? ვი-  
საც კი ბ-ნ შაზიბეგის მოგზაურობა წაუკითხნია  
ყოფილს ოსმალეთის საქართველოში, ეცოდინება,  
რომ ეხლა შავშელ-ერუშელები ყოვლად საცოდა-  
ვნი, მხდალნი და წყალ-წალებულნი არიან. წინად  
მათ შურის თვალით უყურებდნენ მეზობელნი, ახ-  
ლა კი დაბრიყვებულნი და მასხარად აგდებულნი  
ჰყავთ. სრულიად სხვა სურათსა ვხედავთ აქარაში.  
მართალია, აქარელებმაც სარწმუნოება შეიცვალეს,  
მაგრამ ენასა და ეროვნობას არ უღალატეს და თა-  
ვით ფეხებამდის დარჩენენ ქართველებად. და დახეთ,  
რა ვაჟკაცობით, გამბედაობით და მხნეობით არიან  
შემკულნი!

მაგრამ შორს სად მივდივართ, გარშემო მივიხედ-  
მოვიხედოთ და უფრო გასაოცარს და საგულისხმო  
მაგალითებს დავინახავთ. პირველს მაგალითს წარმო-  
ადგენს ჩვენი ნასწავლი ქალობა. ბრც ერთს სხვა ერის  
ქალების აღზრდაში არ არის ისე უდიერად და უგუ-  
ნურად უარ-ყოფილი დედა-ენა და ჟველაფერი მშობ-  
ლიური, როგორც ქართველ ქალების აღზრდა-სწავ-  
ლაში. მეორე მხრით არსად ნასწავლი ქალობა ისე

დაქვეითებული არ არის, როგორც ჩვენში. ზუღ-  
წრფელად რომ გამოვტყდეთ, ათიოდე მანდილო-  
სანს გარდა, მთელი ჩვენი ნასწავლი ქალობა წარ-  
მოადგენს თავსუბუქა არსებათა გროვას, რომელნიც  
მოკლებულნი არიან საღს ადამიანურს აზროვნობასა,  
მაღალს მისწრაფებასა, დამჯდარს ხასიათსა, და  
წამის ჩაბეჭდილებანი მათ ათამაშებენ, როგორც ქა-  
რი ბურბუშელას. შართველმა ქალმა ვერ იჩინა თავი  
ვერც ერთს მეცნიერებაში, ვერც საზოგადო საქ-  
მეებში. ახლანდელი ქართველი ქალი აჩრდილიც არ  
არის წინანდელის მანდილოსნისა, რომელიც წარმოად-  
გენდა მტკიცე, განსაზღვრულს და მეტად პატივსა-  
ცემს ტიპს, აღზრდილსა და დამთავრებულსა ეროვ-  
ნულს ნიადაგზედ. იგი აგრეთვე ბევრად უკან ჩამო-  
ურჩება ახლანდელს უბრალო წოდების ქართველ ქალ-  
საც, რომელიც თავისს სფერაში ძალაა და არა უძლუ-  
რება, როგორც პირველი.

ახლა გავიხსენოთ ჩვენი ზოგიერთი არისტოკრა-  
ტიული გვარეულობანი, საიდგანაც ქართული ენა და  
ქართული ეროვნობა გამოძევებულია, და მივცეთ  
ჩვენს თავს საკითხი: მოიპოვება ამ გვარეულობათა  
შორის ამ უამაღ ერთი მაინც, მაღალის ნიჭის და შე-  
სანიშნავის მხრივის პატრონი? დიოგენის ფარნითაც  
რომ ეძებო, მათ შორის ვერ აღმოაჩენ ამ გვარს  
პირსა.

მეორე მხრითაც თუ მოვუვლით საქმეს, აღმოჩნ-  
დება, რომ ჩვენი მაღალ-ნიჭიერნი მომქმედნი პირნი,  
რომელნიც ჩვენს ამპარტავნობას შეადგენდნენ და  
შეადგენენ დღესა, რომელთაც გაავლეს ჩვენს ცხოვ-  
რებაში ღრმა და ნაყოფიერი კვლები და რომელ-

თა სახელი იხსენიების და იდიდების, ვიდრე ქარ-  
თველთა ერი იცოცხლებს. დედა-მიწას ზურგზედ,  
გამოვიდნენ იმ სახლობათაგან, სადაც ქართულს ენას  
და ყველა ქართულს საუჯეს დიდის პატივითა და  
სიყვარულით ეპყრობოდნენ. ამასთან იმასაც შევ-  
ნიშნავთ, რომ, თუ ჩვენში იპოვებოდნენ და იპო-  
ვებიან უცხო ენების მშვენივრად მცოდნენი, ეს  
იყვნენ და არიან ის პირნი, რომელთაც პატარა-  
ობიდგანვე ქართული ენა ზედ-მიწევნით შეუსწავ-  
ლიათ და ამ ცოდნაზედ აუშენებიათ რუსულის,  
ფრანგულის, ინგლისურის და ნემეცურის ენების შე-  
სწავლა. მაგალითად საკმარისია დავასახელოთ დიმი-  
ტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერი-  
სთავი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ივანე მაჩაბელი,  
ნიკო დადიანი და სხვანი.

11.

ეროვნობის დაცვა ევროპასა და ჩვენში.—ჩვენი ქამო-  
ბა. — ევროპის მწერლების მაერ გამოსარჩდება  
ჩვენის წარსულისა.

**უ**დიდესი მნიშვნელობა დედა-ენისა და ეროვ-  
ნობისა ხალხის სიცოცხლისა და წარმატებისათვის  
კარგად შეიგნეს მვრობაში, მეტადრე ბოლო ხანებში,  
და ყველა პატარა ერი, დიდს სახელმწიფოსთან შე-  
ერთებული, სცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირ-  
სია დაცულ იქმნას თავისის ენით. ლიტერატურით,  
ხალხოსნობით. საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის  
მისაღწევად მათ მიაჩნიათ გამორკვევა და გამოაშკა-  
რავება თავისის წარსულის ცხოვრების ღირსებისა,

ღვაწლისა, თავისებურობისა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებანი მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა—მამულის სიყვარული—და უზენაესი მიზანი—დაცვა თავისის ერის სიცოცხლისა, ამ „ღვთის უუდიდესი ქმნილებისა ქვეყნიერებაზედ“, უშინსკის სიტყვით. ამ გამოსარჩლებას იშვიათად არ მოსდევს უსიამოვნო შედეგი მოსარჩლეთათვის; მაგრამ მათ ამ შემთხვევაში ამხნევებს ის დიდებული ეტიკური ანუ ზნეობრივი აზრი, რომელიც ერთმა ჩვენმა პოეტმა ლამაზად გამოსთქვა ამ ლექსით: „რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

ჩვენ შორის რაღასა ვხედავთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა. საარაკო უკუღმართობის გამო ყოველს ღონისძიებასა ვხმარობთ, რომ ჩვენის წარსულის ყოველი ღირსება დავმალოთ, უარ-ვყოთ ყოველივე მისი თავისებურობა და ღვაწლი, გავათახსიროთ, დავამციროთ, მიწასთან გავასწოროთ, ამითი გამოვუთხაროთ ძირი ჩვენს აწმდგომსა და მომავალსა და გარეშე პირთ ვათქმევინოთ ესა: რამდენიმე ათასი წელიწადი ქართველებს გქონიათ საკუთარი ისტორიული ცხოვრება და სახელმწიფო, ხანდახან ძლიერიც, და იოტის ოდენა კი კულტურისათვის, თქვენივე სიტყვით, არა გაგიკეთებიათ-რაო. მს უტყუარი საბუთია იმისი, რომ თქვენი ეროვნება უძლურია, უნიჭოა, ფუქსავა ტია და სრულიად ღირსი არ არის დაცვისა და სიცოცხლისაო; თქვენ თუ მასალად გამოდგებით სხვა ერისათვის, თორემ საკუთარისა და თავისებურის ცხოვ-

რებისათვის თქვენთვის ბუნებას არ მოუნიჭებია არც  
ძალა და არც შნო.

მთელი მსოფლიო ისტორია მხოლოდ ერთს მა-  
გალითს წარმოგვიდგენს იმისთანა უშვერ უარყოფი-  
სას, რომელსაც დიდი სიამოვნებით სჩაღიან ჩვენ შო-  
რის ზოგიერთნი. მს მაგალითი გახლავთ დაცინვა ძა-  
მის-მიერ თავისი მშობელი მამისა. მაგრამ აქ მსგავსებას-  
თან განსხვავებასაც ვხედავთ, სასარგებლოდ ძამისა.

პირველად, ძამმა სიმთვრალე და სიტიტვლე მა-  
მისა როდი მოიგონა, ცილი როდი დასწამა; ეს სი-  
ტიტვლე და სიმთვრალე იყო ნამდვილი ფაქტი, სამ-  
წუხარო ამბავი. ჩვენნი უკუღმართნი კი თითონ იგო-  
ნებენ სხვა-და-სხვა სიტიტვლეს, სხვა-და-სხვა სისულე-  
ლეს, აბრალებენ მას ჩვენს წარსულსა, ცილსა სწამე-  
ბენ და მასხარად აკეთებენ.

მეორედ, ქამმა მამის სამწუხარო მდგომარეობა  
შინაურებშიაც კი ყველას არ შეატყობინა, განუზია-  
რა მხოლოდ თავისს ძმასა და სხვას არავის. ჩვენ კი  
გაურბივართ ხუთი ათასი ვერსის სიშორეზედ და ვბე-  
ჭდავთ უცხო ენაზე: მთელი ისტორია საქართველოსი  
წარმოადგენს უდაბნოსა არაფრობისას, უვიცობი-  
სასა და ტუტუცობისასო. ამ ვერანა უდაბნოში ერ-  
თი ოაზისიც არ მოიპოვებაო. თვით რუსთველმა, პირ-  
ველმა პოეტმა საქართველოსამ, თავისით ვერაფერი  
შექმნა და სპარსულიდგან ისესხა თავისი „ვეფხის-  
ტყაოსანი“, და ისიც როგორ ისესხაო? ისე უხეიროდ  
და დედნების გაუგებრად, რომ იგი სავსეა უაზ-  
რობით და სისულელითო. და ეს უნიჭო ნასესხი  
მთელს საქართველოს ერს შვიდის საუკუნის განმავ-  
ლობაში დიდებულ და თავისებურ ქმნილებად მიაჩნდა

და „დაბადებას“ გვერდს უყენებდათ. მს კიდევ არა-  
ფერიო. თვით სახლობა, ეს ქვა-კუთხედი უველა ერის  
არსებობისა, ისეთი ველურია საქართველოში, ისე  
გახრწნილია, რომ მსგავსს რასმე იპოვნითო მხო-  
ლოდ ველურს პოტენტოტებშიო, რომელნიც ირი-  
ცხებიან აღამიანთა და მაიმუნთა შორის.

მართალია, ავტორი შემდეგში სრულიად მორ-  
ჯულდა; მაგრამ მისმა ველურმა აზრმა მაინც მავნე  
კვალი დასტოვა.

ამაზედ უკეთესი დღე არ დააყენა ჩვენს წარსულს  
ერთმა ჩვენებურმა პროფესორმა. მან ამ თორ-  
მეტის წლის წინად ლალად გამოაცხადა, რომ „ვეფ-  
ხის-ტყაოსანი“ თარგმანია ლექსად სპარსული პროზუ-  
ლი მოთხრობისაო, და მის დედანს მოკლე ხნის განმა-  
ვლობაში აღმოვაჩენო. მთელი თორმეტი წელიწადი  
ეძება დიდი ძებნით და მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინა  
ვერც ევროპაში და ვერც აზიაში; მაგრამ ოქვენ გვი-  
ნიათ გატყდა თავისს შეცდომაში... აბა რა საკადრი-  
სია. მს ხომ ლაჩრობა იქნებოდა. ის ეხლაც გამალე-  
ბული ეძებს „ვეფხის-ტყაოსნის“ დედანს და, მანამ  
ცოცხალი იქმნება, ამ ძებნას არ მოიშლის... იგი კი-  
დევ უფრო შორს წავიდა უკანასკნელ წლებში. მკი-  
თხველი კარგად იცნობს საბა-სულხან ლრბელიანის  
არაკ-იგავების კრებულს, რომელსაც ჰქვიან მშვენიე-  
რი სახელი: „სიბრძნე-სიცრუისა“. დღემდინ ამ თავისე-  
ბურს თხზულებას ქართულის ნიჭის ნაწარმოებად  
სთვლიდნენ ყველანი—უცხოელნიცა და ქართველები-  
ცა. მისს სრულ თავისებურობაში არავის ეჭვი არ შე-  
უტანია. ჩვენმა ურწმუნო თომა-პროფესორმა კი არც  
აცივა, არც აცხელა და ერთს თავისს თხზულებაში

გაატარა ის აზრი, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ ნახესხი, თარგმანი უნდა იყოს მეტ-ნაკლებობითაო. რად უნდა იყოს, რა საბუთით, რა მოსაზრებით, ამაზე იგი კრინტსაც არა სძრავს.

დიალ, „სიბრძნე სიცრუისა“ სწორედ ნათარგმნი უნდა იყოს იმიტომ, რომ მისი ავტორი ქართველია, და ქართველს ხომ თავისით არაფერი შეეძლო და არც ახლა შეუძლიან. მს აღმოჩენა სავსებით ეკუთვნის იმავე პროფესორსა. იგი მთელს ძველს ქართულს ლიტერატურას თარგმანს ეძახის, უმეტეს ნაწილად სომხური ენიდან. ძართული ნიჭი მის სრულიად არა სწამს და არც არას მოელის მისგან. ამ აზრს წინად უფრო მკვახედ ამბობდა, ახლა მორბილდა; მაგრამ მხოლოდ მორბილდა; აზრი კი არ შეუცვლია, თუმცა ბევრი ახალი ფაქტი აღმოჩნდა მის გასამტკუნებლად. მეტად შესანიშნავია, რომ ჩვენს პროფესორს თითქმის პირად შეურაცხოფად მიაჩნდა, როცა ქართველი მოღვაწეები კრიტიკულად ეხებოდნენ მის უკუღმართს აზრებსა და იცავდნენ ჩვენის წარსულის თავისებურობას, და დაურიდებლად ყრილობდა მათზე ჯავრსა. იგი ერთს აფიციალურს გამოცემაში, სახელდობ „Журналъ Министерства Народнаго Просвещенія“-ში, თავისს მოწინააღმდეგებს იხსენიებდა, როგორც შოვინის ტებს, მეომარ პატრიოტებს, რასაც შეეძლო სახითო ჩრდილი მიეყენებია მეტადრე მათთვის, რომელნიც ავტორისავით სახელმწიფო სამსახურში იყვნენ... მაგრამ სამართალი მოითხოვს ვთქვათ, რომ ავტორის უკანასკნელი გამოკვლევანი იმედს იძლევიან მისს სრულს მოქრისტიანებაზე. ღმერთმა ჰქმნას...

სამწუხარო აქ კიდევ ის არის, რომ ჩვენი სიმები და მაფეტები ვერა ლაგმავენ ჩვენი ქამების თავნებობას და უკუღმართობას და ვერ იცავენ ჯეროვანი ძალით ჩვენს წარსულსა, მის ღვაწლთა და ღირსებათა. სამაგიეროდ, უცხო ტომის მწერლები გულმხურვალე მოსარჩლენი გამოდიან საქართველოს წარსულისა. ზამოჩენილი ორიენტალისტების აზრით, ძველმა ქართველებმა — ურარტიელებმა — მსოფლიო ისტორიაში პირველად ააფრიალეს დროშა კაცომოყვარეობისა მტერთა შესახებ და ამ დიდებულს პრინციპს ქართველნი მტკიცედ ადგნენ მთელს თავისს ისტორიულს ცხოვრებაშიო; „საქართველოს ისტორია ისეთს დაუსრულებელს და ღრმა ღრამას წარმოადგენს, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოლევსო“, სთქვა ისეთმა რუსთა პუბლიცისტმა, რომელიც ძლიერ ძუნწობდა და ძუნწობს კეთილის თქმაში არა რუსთა შესახებ (სუვორინი); „ქართველებმა თუმცა საეკკლესიო სტილი ვიზანტიელებისაგან გადმოიღესო, მაგრამ ისე გააუკეთესეს, რომ ზოგს რამეში პირველი ადგილი დაიკირეს მთელს საქრისტიანოშიო (ძონდაკოვი); „ვეფხის-ტყაოსანი“ ნამდვილი ქართული ნაწარმოებია, თავისებური ნაციონალური ქმნილებაა და მისი მსგავსი არ მოიპოვება მთელს სპარსულს ლიტერატურაშიო, სთქვა ჯერ საჯარო ლექციაში და მერმე ცალკე წიგნაკში აწ განსვენებულმა ბულაკმა, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა აღმოსავლეთის ლიტერატურა და მეტადრე სპარსული; „ვეფხის-ტყაოსანი“, ეს ნაციონალური ქმნილება, იპყრობს იმისთანა დიდებულს აზრებსა, რომელნიც ღირსენი არიან მოიფინონ მთელს სამყაროშიო („იბლეთხვა“).

всю вселенную\*), гаმოსთქვა თავისს მაღალ ნიჭიერ სტატიაში, რომელიც დაბეჭდილი იყო რამდენისამე წლის წინად გაზეთს „Кавказъ-Ши“, ბარონ სუტნერმა, ფრიად განათლებულმა გერმანელმა და გამოჩენილმა მწერალმა ნემეცურ ხელოვნურს ლიტერატურაში... და სხვანი და სხვანი...

უცხოელნი ჩვენს „ვეფხვის ტყაოსანს“ იცნობენ უბრალო, მშრალი პროზული ნათარგმნით, რომელ-შიც მთლად გამქრალია ის მომხიბლავი სიმდიდრე და მუსიკა ენისა, რომელიც შეადგენს ერთს უმთავრესს ლირსებას ჩვენის ნაციონალურის ქმნილებისას. რამდენად უფრო მაღლა დააყენებდენ იგინი შოთას უკვდავ პოემას, თუ მათ ქართულის ენის ცოდნა ნებას აძლევდეს თვითონ დედნის კითხვით გამოსცადონ ის ნეტარება, რასაც ჰერძნობს ქართული გული და გონება...

დიალ, უცხოეთის მწერალნი, რომელნიც გულმოლგინედ იძიებენ ჩვენს წარსულს, პოულობენ მასში იმისთანა თავისებურს მოვლენათა, რომელნიც არ მოიძებნებიან არც ერთ სხვა ერის ისტორიაში და ამით სრულს იმედს ჰპალავენ ჩვენში და სხვებში, რომ თუ ჩვენს ქამობას თავს დავანებებთ და მხნედ შევუდგებით ჩვენის ეროვნობის აღორძინებას, ევროპიულ განათლებას ვადენინებთ ეროვნულს მილებში, შევძლებთ თავისებური წვლილი შევიტანოთ იმ დიდებულს მსოფლიო სალაროში, სადაც იკრიბება მთელის ქაცობრიობის ჭკუის, გულის, ფანტაზიის და ხასიათის ნაყოფი.

12.

დამოგენდებულ ერთა დედა-ენის უფლებანი ეგრობაში  
წინა დროს და ახლა.

უწინ მცროპაში პატარა ხალხების ეროვნობა  
იდევნებოდა დაურიდებლად; გაბატონებულნი ერნი  
სცდილობლნენ დამორჩილებულ ერთათვის დაევიწყე-  
ბინათ დედა-ენა, სამშობლო ისტორია, ლიტერა-  
ტურა და გადაეგვარებინათ. მხლა კი დიღნი ერნი  
დაადგნენ სხვა გზასა, უარჲყვეს პატარა ხალხების  
ეროვნობის დევნა, და სრულს უფლებას ანიჭებენ  
მათს ეროვნულს ფაქტორებს და ადგილობრივს თვით-  
მმართველობას. შველაზედ ცხადად ამ მიმართულე-  
ბამ იჩინა თავი ინგლისში შესახებ ირლანდიელე-  
ბისა, უელსელებისა და შოტლანდიელებისა, და  
ავსტრი-მენგრიიში შესახებ მადიარებისა და სლა-  
ვიანებისა.

რამ დაბადა ამისთანა ძირითადი ცვლილება?

პირველი მიზეზი ამისი არის კვიანური მოქმე-  
დება პატარა ხალხებისა, დამყარებული მომწიფებულს  
აზრზედ. შინად ეს ხალხები თავის დედა-ენის, ისტო-  
რიის, ლიტერატურის და თვით-მმართველობის უფ-  
ლებათა აღდგინებასთან თხოულობლნენ პოლიტიკურს  
განცალკევებასაცა, ცალკე სახელმწიფოს დაარსებას.  
ამითი ისინი საბუთს აძლევდნენ სახელმწიფოს ჩაე-  
რიცხა მათი ეროვნული ფაქტორები თავისს მტრად  
და სცდილიყო ამოეფხვრა იგინი ძირიანად. შემ-  
დეგში პატარა ხალხები დარწმუნდნენ, რომ პოლი-  
ტიკური განცალკევება იქნება მავნებელი არა მარტო  
სახელმწიფოსათვის, არამედ თითონ მათვისაცა, რად-

განაც ხალხისაგან მოითხოვს ბევრად უფრო დიდს ხარჯს, შეურყევს გარეგანს მშვიდობიანობასა და გა-ამრავლებს ხალხთა შორის უთანხმოებასა, ომებსა და ცრემლს. რაკი ამ აზრზედ დასდგნენ, ისინი გახდნენ გულწრფელნი მომხრენი სახელმწიფოს ერთობისა, მისცეს სახელმწიფოს მრავალი საბუთნი თავის ერთ-გულობისა, ეცადნენ, რომ მათ შორის არ აღმოჩენილიყვნენ სეპარატისტები და ეჭვში არ ჩაევდოთ მათი ერთგულობა. ამასთან ერთად გააძლიერეს თავისი მოქმედება მშობლიურის ენის, ლიტერატურისა და სრულის თვით-მმართველობის აღსადგენად, სრული შინაურის ბატონობის მოსაპოებლად. ამ ბრძნულმა პროგრამამ მთელი ხალხი ერთის დროშის ქვეშ მოაქცია. წინად ბევრნი იყვნენ წინააღმდეგნი პოლიტიკურის განცალკევებისა და ეს ხალხს პარტიებად ჰყოფდა. ახლა კი ეს პარტიობა მოიშალა, რადგანაც პოლიტიკურის ცალკე ბუდის გაკეთება უარ-ყოფილი იქმნა და მისწრაფების საგნად დარჩა შინაური ავტონომიის მოპოება, რაც გულით და სულით უყვარს ცველა დაუმახინჯებელს ადამიანს და რაც შეადგენს უპირველესს ტა მიუცილებელს საჭიროებას ხალხის წარმატებისა და აყვავებისათვის. მრთის სიტყვით, კაცობრიობაში სდგება ხანა დიდის სახელმწიფოებისა, აშენებულისა თვით-მმართველობის პრინციპზედ, ფედერატიულს საფუძველზედ.

მხოლოდ ერთი შავი წერტილი აფუჭებს ამ ნათელის გორიზონტის ჩაბეჭდილებასა. მს შავი წერტილი არის პრუსია. ამ სახელმწიფოში სასტიკადიდევნება უცელაფერი ეროვნული პოზნანში, მლზას-ლორენში და შლეზვიგში. რა მიზეზით? პრუსია ამ

თავისს სამს პროვინციას სთვლის სახელმწიფოს ერთობის მტრებად, და საბუთიცა აქვს ამისი. სამივე პროვინცია სულ იმის ჩატვრაში არის, როდის იქმნება პრუსია დაემხოს და ჩვენ მისგან განვთავისუფლდეთო. რამდენად შესაფერია წადილის მიღწევისათვის ეს სამწუხარო ჯიბრი, ჩვენ ამას არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ფაქტსა, რომ ეროვნულნი ფაქტორები უცხადებენ მტრობას და ბრძოლას სახელმწიფოს და ისიც მტრულად ეკიდება მათ. რამდენჯერ უთქვამთ პრუსიის პარლამენტში მინისტრებს პოლონელის დეპუტატებისათვის: თქვენმა ამომრჩევლებმა რომ გულწრფელად აღიარონ და საქმითაც დაამტკიცონ ერთგულება სახელმწიფოსი, ჩვენ მაშინვე რაღიკალურად შევცვლით ჩვენს მოქმედებას პოზნანის შესახებაო.

13.

თბილია და დაბაბუნება უდედა-ენა ადამიანისა. — არავა ანთერზასა. — აზრი კომენტარისა, და უშანსკასა. — რაუმელია ერთ ერთ გაქრობა ასახიჩრებს თვით კაცაბრიობას...

 ავუბრუნდეთ ჩვენს საგანსა, თუმცა ნათქვამსაც პირდაპირი კავშირი აქვს მასთან.

პდამიანი, მოკლებული დედა-ენის ცოდნას და მკვიდრს სულიერს კავშირს თავისს სამშობლოსთან და ერთან, მიემსგავსება საბრალო ობოლს, საწყალს სტუმარს, რომელსაც არ გააჩნია თავისი საკუთარი სახლი ამ ქვეყანაზედ. იგი მოგაგონებო ხილგან მოჭრილს ტოტსა, რომელიც, დღეს თუ ხვალ, უთუოდ გახმება. იგი შეიძლება ამყნონ სხვა ხეზედ, მაგრამ ჯეროვან სისრულეს იგი არას დროს არ ეღირსება და ვერას დროს ვერ შეედრება ხეს, რომელსაც ფესვები ლრმად აქვს გადგმული თავისს შესაფერს ნიადაგში

და რომელიც ამის გამო სავსეა ღონით და სიცოცხლით. „სტუმრად ყოფნა მეზობლებში ხანდახან სასიამოვნოა, მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ვინმე მოკლებულ ყოფილიყვეს თავისს საკუთარს კერასაო“, სთქვა ერთმა მაღალ ნიჭიერმა და ღვაწლით შემოსილმა რუსმა მწერალმა სამოციანს წლებში, როდესაც ლაპარაკობდა მცირე-რუსეთის ენის და ლიტერატურის ალმრძინების საჭიროებაზედ.

მშეენივრად ჰხატავს ეროვნულის ნიადაგის უბადალო მნიშვნელობას ხალხის არსებობისა და წარმატებისათვის ერთი არაკული ოქმულება ძველის ბერძნებისა. იყო თურმე ერთი გმირი, სახელი და ანთეოზი, შვილი დედა-მიწისა. მგი იყო უძლეველი იმის გამო, რომ მშობელი დედა-მიწისაგან, რომელთანაც იგი დაკავშირებული იყო ან ჯდომით, ან დგომით და ან წოლით, განუწყვეტლივ ასდიოდა სხეულში დიდი ძალი და ღონე. ბოლოს შეპხვდა ანთეოზს ჰერაკლი, გმირთაგან გმირი. ზაჩიდა საშინელი ბრძოლა. ჰერაკლიმ არა ერთხელ წააქცია მიწაზედ ანთეოზი; მაგრამ შეეხებოდა თუ არა თავისს მშობელს მთელი ტანით, ანთეოზი ერთი ორად და სამად უფრო ღონიერდებოდა, ერთს წუთს წამოვარდებოდა ფეხზედ და უფრო მხნედ ებრძოდა ჰერაკლისა. ბრძოლა ბოლოს და ბოლოს უთუოდ ჰერაკლის დამარცხებით გათავდებოდა; მაგრამ, დახე ანთეოზის იღბალსა, მისმა მოწინააღმდეგებ შენიშნა, რომ ანთეოზის უძლეველობა დედა-მიწასთან კავშირისაგან წარმოსდგებოდა, მობდუჯა, მოაშორა დედა-მიწასა, ჰერაში აიყვანა და იქ გააჩერა. მოშორებული დედა-მიწისა, ანთეოზი დასუსტდა, დაუძლეურდა და შეიქმნა მსხვერპლი ჰერაკლისა. ანთეოზისავით ძლიერია მთელი ერი საზოგადოდ და უოველი აღამიანი კერძოდ, ვიდრე იგი მტკიცედა სდგას ეროვნულს ნიადაგზედ; ხოლო მასავით სუსტდება და იღუპება, როდესაც იგი შორ-

დება ამ ნიადაგსა და სწყვეტავს მასთან განმაცხოველებელ კავშირსა...

შველა შეგნებულს ქვეყანაში დედა-ენა მით უფრო შეტაც მეფობს სახლობის სფერაში, რამდენადაც უფრო ვიწრო ადგილი აქვს მას მოზომილი სხვა-დასხვა სასწავლებელში. მინც კი ცოტაოდნაც თვალყურს ადევნებს თანამედროვე ცხოვრებას მეროპის ერთა და ტომთა, კარგად უნდა უწყოდეს, თუ რა დიდი ყურადღებით და სიყვარულით ეპყრობა დედა-ენას ყოველი სახლობა, მაგალითად, შლეზვიგში, პოზნანში, მლჩას-ლორენში, პოლონეთში. შოველი დედა, თვითოეული მამა წმინდა ვალად პრაცხს, თავის შვილების სკოლაში შესვლამდის, რაც კი შეიძლება, კარგად გაავარჯიშოს დედა-ენაში, გამართოს მეტყველებაში და შეათვისებინოს ზეპირ-სიტყვაობით აღვილნი და საუკეთესო ნაწარმოებნი ხალხის გონებისა. სკოლაში მიბარების შემდეგაც მშობელნი ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავისს შვილებს ეროვნული მიღრეკილებანი განუძლიერონ და გულით ათასი ძაფით შეაკავშირონ იგინი თავის ერის წარსულთან, აწმდგომთან და მომავალთან. საუკეთესო ღონისძიებად ამ მაღალის მიზნის მისაღწევად მიაჩნიათ მდიდარი საშინაო ბიბლიოთეკა საბავშვო წიგნებისა დედა-ენაზედ, რომლებსაც ყმაწვილებს დიდის ყურადღებით აკითხებენ თავისუფალს დროსა. შოველს ამგვარს შინაურს ბიბლიოთეკას ამშვენებს უთუოდ ერთი მაინც რომელიმე საბავშვო უურნალი, რომელსაც დედ-მამა თავისს შვილებს უბარებს, რაც უნდა ღარიბი იყოს.

დასურათებისა და დასაბუთების შესავსებლად მოვიყვანთ კიდევ მსჯელობას ორის სლავიანურ გამოჩენილის პედაგოგისას, რომელნიც მარჯვედ გამოსთქმენ დედა-აზრს ჩვენის წერილისას.

„მშობელი, რომელიც მოინდომებს თავისს შვი-

ლებს ასწავლოს უცხო ენა, ვიდრე ისინი განმტკიც-დებოდნენ დედა-ენის ცოდნაში, იქმს იმისთანავე სა-ოცარს სისულელეს, როგორსაც ჩაიდენდა აღამიანი, რომელიც ჯერედ ფეხ-აუდგმელს ბალლს ცხენზედ ჯდომას დააწყებინებდა“, ამბობს ძომენიუსი.

„გაჰქრა ენა ერისა? გაჰქრა თვითონ ერიცა. და თუ აღამიანის სული ძრწუნდება ერთის კაცის მოკვ-ლის წინაშე, მაშ რაღა უნდა იგრძნოს მან, როცა გა-უქმებას უპირობენ ათასის წლის ისტორიულს სიცო-ცხლეს ერისასა, ამ უმაღლეს ქმნილებას ლვთისასა ქვეყნიერობაზედ?“ ამბობს შშინსკი.

ხოლო ერის გადაგვარება და გაქრობა მარტო მისს კერძო უბედურებას როდი შეადგენს; იგი ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისათვისაც, რომელსაც ამითი აკლდება ერთი თავისი ნაწილი ანუ წევრი, უშრე-ბა ერთი იმ წყაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთე-ბულად კულტურის მსოფლიო ზღვასა. მრთმა წარ-ჩინებულმა მწერალმა კაცობრიობა დაადარა მგალო-ბელთა დიდს გუნდს, ხოროსა, რომლის პარმონია მხოლოდ მაშინ არის სავსე და სრული, როდესაც ყველა ხალხი, თავისი შესაბამის ხმით, იღებს მონა-წილეობას მსოფლიო ლაღადისში. შესწყდა რომელი-მე ერის ხმა? გაღარიბდა კაცობრიობის ხოროს პარ-მონია, შესუსტდა მსოფლიო ლაღადისი, დანაკლულ-და ზღვა თავისებურობისა, მოაკლდა ერთი თავისე-ბური ლალი კაცობრიობის კულტურის ღიდებულს სალაროსა.

14.

საჭირო ღონისძიებაზე დედა-ენის დასაცველად  
და ასაეგავებლად.

ჩამოვიდეთ მაღალი პრინციპის სფერიდგან ძირს, ქართულს ნიაღაგზედ, და დავასახელოთ კონკრეტუ-ლი, კერძო ღონისძიებანი, ჩვენის დედა-ენის დასაცვე-

ლად და გასაძლიერებლად. ვრცლად ეს ღონისძიება-ნი არა ერთხელ და ორჯელ განვიმარტავს როგორც ქართულს ენაზე, ისე რუსულზე. აქ დაგვჭირდება მხო-ლოდ მოკლედ გამეორება მათი...

პირველად, დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახობაში სრულიად და სავსებით და ყოველი პა-ტარა ქართველი მხოლოდ მის ზედგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მთელის შვი-დის წლის განმავლობაში. შოველ-დღიური ვარჯი-შობა დედა-ენაში მშობლებმა უნდა დააწყებინონ თა-ვისს შვილებს მესამე-მეოთხე წლიდგანვე. მართული ენა მდიდარია მეტად მარტივი სახალხო ლექსებით და ზღაპრებით, რომელთა შეთვისება არ გაუჭირდებათ ჩვილ ქართველებსა, თუ დიდები გონივრულს ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ. მაგრამ ეს საკმარი-სი არ არის. საჭიროა სხვა გვარი საზრდოც, რეა-ლური შინაარსისა. მარტივი საგნების და სურათე-ბის შინჯვა და ოღწერა კითხვა-პასუხის შუამავ-ლობით, ელემენტარული თვალსაჩინო სწავლა უნ-და შეადგენდეს ყოველ დღიურს სავარჯიშოსა. ეს ვარჯიშობა ბავშვს შესძენს რეალურს ცოდ-ნასაცა, დაკვირვების ნიჭისაც გაუფურჩქინების და ენა-საც თანდათან გაუმდიდრებს რეალური ლექსი-კონითა. ჩინებულს მასალას წარმოადგენს აგრე-თვე პატარ-პატარა ცოცხალი სიტყვით ნაამბობნი მოთხრობანი ცხოველთა სამეფოდგან, რომელნიც ზღაპრებივით აინტერესებენ ბავშვებსა და რეალურს ცოდნასაც აძლევენ. ასევა დაყენებული პატარა ბავშვე-ბის განვითარების საქმე ეგრედ წოდებულს „საბავშვო ბაღებში“ და ასევე უნდა მოეწყოს ეს საქმე ჩვენს სა-ხლობაშიცა. ბედად, ამისთანა მოთხრობების კრებუ-ლი კარგა ხანია არსებობს ქართულს ენაზე. როცა ბავშვი ჩადგება მეექვსე წელში, ქართული კითხვა უნდა დააწყებინოთ ჯერ დიდი მოძრავი ასოების ხმა-

რებით და მერმე მსხვილი ასოებით დაბეჭდილის წიგნის საშუალებით. წერა ძნელი პროცესია, ძნელი ხავარჯიშოა და ამიტომ იგი უნდა დააწყებინოთ უფრო გვიან, ერთის წლის შემდეგ, როცა ბავშვი მეშვიდე წელიწადში გადადგება. მერვე წლიდგან ქართული წერა-კითხვა, ხელი-ხელ ჩაკიდებული, ტოლად მიდის.

ამ გზაზე დაყენებული ქართველი ბავშვი სამის წლის განმავლობაში კარგად გაიმართება ქართულს წერა-კითხვაში, ქართულს მეტყველებაში და ელემენტარულს ცოდნასაც საკმარისად შეიძენს. ასე მომზადებული იგი მეცხრე წელში შედის რომელსამე სასწავლებელში. რვა წელიწადზე აღრე ბავშვი არ უნდა მისცეთ სასწავლებელში, თორემ სასკოლო რთული შრომა აუცილებლად დაუჩაგრავს გონებასა. რაღანაც ჩვენებურს სკოლებში დედა-ენას ძალიან ნაკლები დრო აქვს დათმობილი და ზოგან სრულიადაც არ ასწავლიან, ამის გამო მშობლები მოვალენი არიან ყოველ დღე ბავშვებს ერთი თავისუფალი საათი მაინც მოანდომებინონ ქართულის წიგნის კითხვასა. უნდა შეუდგინონ ბიბლიოთეკა საუკეთესო საბავშვო წიგნებისა დედა-ენაზე, უსათუოდ დაუბარონ ამავე ენაზე საბავშვო ჟურნალი და ქართული წიგნის კითხვა გადაუქციონ თავისს შვილებს ყოველდღიურ მოთხოვნილებად.

მაგრამ მარტო ოჯახის ერთგულება არა კმარა დედა-ენის გასაძლიერებლად. სკოლა, ეს უძლიერესი კულტურული ღონისძიება, უნდა ეპურობოდეს ქართულს ენას სრული პატივით, როგორც უსაჭიროებს საგანს. სახალხო ერთ-კლასიანს სკოლაში იგი უნდა მეფობდეს სრულიად და სავსებით. მასზედ უნდა იყოს მოწყობილი მთელი სწავლა, ყველა საგნების გადაცემა, სახელმწიფო ენა კი უნდა ისწავლებოდეს, როგორც მხოლოდ ცალკე საგანი. ბარდა ამისა დედა-ენას, როგორც ცალკე საგანს, დათმობილი უნდა

ჰქონდეს ყოველ წლივ და ყოველს განცოფილებაში არა ნაკლებ ექვსი გაკვეთილისა კვირაში ყოველს სახალხო სკოლაში, როგორც ერთ-კლასიანში, ისე ორ-კლასიანში. საშუალო სასწავლებლებში ჩვენი დედა-ენა უწინდებურად უნდა გადაიქცეს სავალდებულო საგნად ყველა ქართველ მოწაფეთათვის, როგორც სავალდებულოა აღგილობრივი ენა ზინლიანდიაში, პოლონეთში და თვით შუა აზიაში სარტოა შორის. მისნი მასწავლებელნი ჯამაგირით და უფლებით უნდა გათანასწორებულ იქმნან სხვა საშტატო მასწავლებლებთანა. შართულს ენას უნდა დაეთმოს ყოველ კლასში პირველიდგან დაწყებული უკანასკნელამდე არა ნაკლებ ორის გაკვეთილისა კვირაში. ამ უფლების მოპოებას, ანუ უკეთ, აღდგენას, ესაჭიროება მხოლოდ კანონიერი შუამდგომლობა, ჯეროვანად დასაბუთებული. ამის გარდა საჭიროა ქართულს ენაზე გადაითარგმნოს და შესდგეს სახელმძღვანელონი გეოგრაფიისა, ისტორიისა, ბუნების-მეტყველებისა და სხვა საგნებისა, რათა ქართველმა მოწაფეებმა ორივე სქესი-სამ გაიმეორონ შინ თავის დედა-ენაზე ყოველ დღე ის, რასაც რუსულად სწავლობენ გემნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში.

სასკოლო კურსის დასრულების შემდეგ ყოველი ქართველი თავისს წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდეს იქონიოს საშინაო ქართული ბიბლიოთეკა, რომელსაც უნდა ამშვენებდნენ საუკეთესო თხზულებანი ქართველის ავტორებისა—ძველისა და მეტადრე ახალისა. იმავე ქართველს დანაშაულობად უნდა მიაჩნდეს, თუ არ მისდის ერთირომელიმე ქართული პერიოდული გამოცემა და ყოველდღე არ ადევნებს თვალს მშობლიურს პრესასა. იგი მოვალეა მეტიცა ჰქმნას. პირადი პრაპაგანდით, ქადაგებით მან უნდა სხვა ქართველებში გააცოცხლოს, განაძლიეროს თანაგრძნობა და სიყვარული ქართულის ენისა, ლიტერატურისა, ის-

ტორიისა და გარდააქციოს იგინი ერთგულ მომხრედ  
და მოყვარეთ ყოველი მშობლიურის ფაქტორისა.

ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფნი მცირე რი-  
ცხვოვანნი ერნი ერთს ჩინებულს ღონისძიებასაც ხმა-  
რობენ თავისი დედა-ენის და ლიტერატურის გაძლი-  
ერებისა და იყვავებისათვის. როგორც ჩვენში ვი-  
ცით დაპატიჟება საღილად და ვახშმად, ისე იმათ ჩვე-  
ულებად აქვთ დაპატიჟება თავისი კარგი ნაცნობისა  
წრენების საკითხველად დედა-ენაზე. მს თავისებური პა-  
ტიჟება ხდება ნაცნობთ შორის რიგ-რიგად. შწვევიან  
მასპინძელს სტუმრები, იგი გააღებს თავისს საშინაო  
ბიბლიოთეკას, ამოირჩევს და გადმოიღებს რომელსამე  
საინტერესო წიგნსა. მითხულობენ, მსჯელობენ, პაა-  
სობენ დედა-ენაზე, ერთმანეთის ენით და აზრებით  
მდიდრდებიან, სიცხიზლე და უნარი ემატებათ, და  
საქვეყნო საქმეებს შეტი გულმხურვალებით ეკიდე-  
ბიან, ემსახურებიან.

რა უბრალო, რა ადვილი და ამასთან რა სანდომი  
და სასარგებლო ღონისძიებაა! რა კარგი იქნება, რომ  
ჩვენშიაც გავრცელდეს ეს საუცხოვო ჩვეულება! იგი  
უებარი წამალია ჩვენი მძინარა საზოგადოების გამო-  
ფხიზლებისა და ეროვნულს გზაზე დაყენებისათვის.

თუ კველა ეს ღონისძიება ნახმარი იქნება, ჩვე-  
ნი ლიტერატურის ზრდა სწრაფი ნაბიჯით ივლის წინ  
და იგი მოკლე ხნის განმავლობაში გამდიდრდება არა  
მარტო ბელეტრიისტული და პუბლიცისტური ქმნილე-  
ბებითა და პერიოდული გამოცემებითა, არამედ სხვა-  
და-სხვა პოპულიარული სამეცნიერო თხზულებებითა-  
ცა, და ჩვენს ეროვნულს განათლებას გაუღიმებს,  
გაუცინებს ცხოველ-მყოფელი იმედი ნათელი მომა-

ვალისა.

851610

იაკობ გოგებაშვილი.

